საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

თორნიკე მეგრელიშვილი

ადამიანი, პიროვნება, მოქალაქე - ერთი სუბიექტის როლი საჯარო სივრცეში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი
აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

შინაარსი

ანოტაცია ქართულად
ანოტაცია ინგლისურად
შესავალი ---------- 1
თავი I ადამიანი და მისი ურთიერთკავშირი სახელმწიფოსთან ---------- 8
1.1. ანტიკური რომის სამართალი ადამიანის უფლებების შესახებ ------- 9
1.2. ძველი ქართული სამართლის ძეგლები ადამიანის უფლებების შესახებ ---------- 12
1.3. ადამიანის ფენომენი ქართულ ცნობიერებაში ---------- 18
თავი II ადამიანის როგორც სახელმწიფოს სუბიექტის არსი ---------- 24
2.1. სივრცე ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ---------- 24
თავი III პიროვნების როლი საზოგადოების განვითარებაში ---------- 28
3.1. საზოგადოება და პიროვნება ---------- 29
თავი IV მოქალაქეობის არსი და მნიშვნელობა სახელმწიფოში ---------- 36
4.1. მოქალაქეობის მინიჭების წესი და პირობები ---------- 36
4.2. მოქალაქის მოვალეობები ---------- 41
-
4.3. ადამიანის, პიროვნებისა და მოქალაქiს პასუხისმგებლობა ---------- 43
დასკვნა ---------- 46
ბიბლიოგრაფია ---------- 53

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიომ განვითარების მეტად დიდი და რთული გზა განვლო და დღეს დედამიწაზე ტექნოლოგიური, თუ მეცნიერული მიღწევების უსასრულო სივრცეა. ადამიანი კი ამ სივრცის მთავარი მამოძრავებელი ღერძია, რომელიც გარეშე აღნიშნული დონე ვერასოდეს ვერ იქნებოდა მიღწეული. ადამიანი მუდმივი ქმნადობის პროცესშია და ესაა მისი მთავარი დანიშნულებაც. თუ ქმნადობის პროცესი შეჩერდა სამყაროც შეაჩერებს განვითარების რიტმს და სულ მალე შესაძლოა დაკარგოს ყველაფერი ის რასაც მიაღწია.

ადამიანებად ვიბადებით, პიროვნებად ვყალიბდებით, ხოლო მოქალაქეობა გვენიჭება - ეს არის ის ძირითადი მიმართულება რომელიც განხილულია სამაგისტრო ნაშრომში. კერძოდ თუ რა როლი აქვს თვითეულ მათგანს ცალ-ცალკე და ერთად აღებულს საჯარო მმართვაში.

უახლესმა მიდგომებმა კიდევ უფრო დაახლოვა ადამიანი სახელმწიფო მართვასთან და განაპირობა მისი, როგორც მთავარი რესურსის, მთავარი სუბიექტი არსი და რომ მისი სწორი პიროვნული და სრული მოქალაქეობრივი განვითარება ნებისმიერი სახელმწიფოს მთავრი ქვაკუთხედია.

საინტერესოა სამივე ფენომენის როგორც ცალკე, ასევე ერთად განხილვა, რაც სამაგისტრო ნაშრომში მიღწეულია. პიროვნებად ჩამოყალიბება რამოდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული - ოჯახზე, საზოგადოებაზე, გარემოზე, ამდენად მნიშვნელოვანია ყველა სეგმენტის მიმოხილვა და ამის საფუძველზე დასკვნების გამოტანა, თუ რატომ, რა გარემოში ვღებულობთ პიროვნულ პრობლემებს. ის მნიშვნელოვანია საჯარო მართვის თვალსაზრისით, რადგან არჩევანს თუ ვინ უნდა მართოს ქვეყანა და როგორ განვითარედება ქვეყნის მომავალი გადაწყვეტილების მიღებისას პიროვნული ფაქტორი დომინირებს ადამიანში. რამდენად სწორად და სრულყოფილად იქნება ინდივიდში პიროვნება ჩამოყალიბებული იმდენად სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ის საჭირო დროს.

რაც შეეხება მოქალაქეობას, აქ ზედმიწევნით კონკრეტული სამართლებრივი სივრცე გვაქვს. სამაგისტრო ნაშრომში დეტალურადაა განხილული საქართველოს მოქალაქეობის საკითხი და შესაბამისად მოქალაქის როლი სახელმწიფო მართვაში.

დასკვნის სახით კი წარმოდგენლია სამივე არსის ერთ ინდივიდში გაერთიანებით მისი როგორც სახელმწიფოს მთავარი სუბიექტის როლი საჯარო სივრცეში.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი საკვანძო თავის, შვიდი ქვეთავისა და დასკვნისაგან.

თორნიკე მეგრელიშვილი

Anotation

The modern world has walked through a very complex and challenging way, and today is an infinite space of technological and scientific achievements on earth.The man is the main driving axis of this space, without him this level could never be achieved.

The human is in constant formation and this is his main purpose. If the process of creation has stopped, the world will stop the rhythm of development and will soon lose all that it has achieved.

We are born as human beings, we are individuals but we get citizenship - this is the main direction discussed in the master's work. Namely, what role they have in each individual and together in public administration.

The latest approaches are closer to people's state management and are the main subjects of its main resource, and that its proper personality and full citizenry development is the main cornerstone of any state.

It is interesting to review all three phenomena as well as discussions together with the master's work. Personality development depends on several factors - family, society, environment, and so important to review all segments and draw conclusions on why and in which environment we face the problems.

It is important in terms of public management, because the choice of who will manage the country and how it will develop in the future decision of the country is a personal factor dominates in man. If the person is formed correct and perfect in the individual, the right decision will be taken at the right time.

As for citizenship, we have a definite legal space here. The master's work discusses the issue of citizenship of Georgia and therefore the role of a citizen in state management.

In conclusion, the three subjects are represented in one individual by the role of the main subject of the state in public space.

The master's thesis consists of four key chapters of the introductory, seven subsections and conclusions.

Tornike Megrelishvili

შესავალი

სამყაროში არსებობს გაერთიანებები, რომელიც კიდევ უფრო პატარა ჯგუფებისაგან შედგება და რომელთა ერთად განხილვა და გაანალიზება ქმნის გაერთიანების მთავარ მახასიათებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთიცა და მეორეც კარგავს თავის მნიშვნელობასა და არსს. ასეთ შემთხვევაში ამ ორი მოვლენის ურთიერთქმედების ხარისხზეა დამოკიდებული იმ ერთი მთლიანის მომავალი განვითარების ტენდენციები. ასეთი მიმართება მრავალგვარია დედამიწაზე, მაგრამ თუ ცივილიზაციის განვითარების კუთხით მივყვებით მოვლენების განხილვასა და შეფასებას, გავარკვევთ, რომ ყოველივე რაც ამ დედამიწაზე არსებობდა, არსებობს და იარსებებს უკავშირდება ერთ უმნიშვნელოვანეს სუბიექტს - ადამიანს, ერთადერთ მოაზროვნე არსებას დედამიწაზე. ადამიანის გარეშე დედამიწა, როგორც ასტრონომიული პლანეტა, როგორც ტექნიკური თუ სამეცნიერო ცივილიზაცია, როგორც წარსული, აწმყო და მომავალი კარგავს თავის მთავარ არსსა და მნიშვნელობას. აი რამდენად შედგა ადამიანისა და გარე სამყაროს ურთიერთკავშირი და ადამიანის როლი სად უფრო დიდია იმის მიხედვით უკვე შესაძლებელია კონკრეტულად მთლიანობაზე მსჯელობა.

ერთი მთლიანის ხარისხი მრავალთა ურთიერთქმედების ხარისხზეა დამოკიდებული ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ სადაც ადამიანებსა და კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულზე განლაგებულ ქვეყანას, სახელმწიფოს შორის ურთიერთობა რაც უფრო მჭიდრო, ურთიერთთანამშრომლური და მშვიდობიანია, ადამიანი უფრო მეტად ვითარდება და შესაბამისად ქვეყნის განვითარების დონეც კიდევ უფრო მაღალია. ყოველივე ეს კი გარანტია მსოფლიო განვითარებისა და საყოველთაო მშვიდობისა, რომელიც აწმყოსა და მომავლის მთავარი ამოცანაა.

თანამედროვე მსოფლიოში ორასამდე სახელმწიფოა, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. არსებობს დიდი და პატარა, ძლიერი და სუსტი, განვითარებული და განვითარებადი, ფუნდამენტური და ახალი დემოკრატიის, მრავალსაუკუნოვანი და ახალი ისტორიის სახელმწიფოები და ა.შ. მაგრამ მათ საერთო - სახელმწიფოებრივი ნიშან–თვისებები გააჩნია.

სამართლის მეცნიერებაში სახელმწიფოს რამოდენიმე განმარტება არსებობს, თვითეულის ჩამოყალიბების შემდგომ შესაძლებელია იმ ერთი საერთო ნიშნის გამოკვეთა რაც მათ აერთიანებს.

ამრიგად, სახელმწიფო არის:

- *ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მუდმივად სახლობენ ფიქსირებულ ტერიტორიაზე, აქვთ საერთო კანონები, ჰყავთ მთავრობა და შესწევთ საერთაშორისო ურთიერთობის წარმართვის უნარი.* [19]
- *„რთული მორალური პიროვნება, რომლის ნებაც განიხილება თითოეული პიროვნების ნების სახით; ეს ნება წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე - ყველას ნების ერთიანობით, ადამიანთა თავისუფლებისა და უსაფრთხოებისათვის.“ - გერმანელი იურისტის ჰუფენდორფი. [22]*
- *„თავისუფალ ადამიანთა კავშირი, საერთო სარგებლობისა და უფლებების დასაცავად.” - ჰუგო გროციუსი.[8]*
- *“ადამიანთა სამართლებრივი ურთიერთობა, იურიდიული კავშირი; სახელმწიფო დაფუძნებულია სამართლიანობაზე“ - ციცერონი [4]*
- *პლატონის თანახმად,* სახელმწიფო ტრანსცენდენტური[1] სიკეთისკენ მიმართავს მოქალაქეებს. სახელმწიფო სამართლის შვილია, მოქმედებს სამართლის მიხედვით და იცავს ადამიანებს სამართლის მეშვეობით.[20]
- *,,ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს, ნებისმიერი კავშირი კი რაიმე სიკეთის მიღწევას ისახავს მიზნად, რადგან ყველა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც სიკეთე ჰგონია.”*- არისტოტელე [5]
- *კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც ამ ტერიტორიაზე აღასრულებს ,,ძალადობაზე მონოპოლიას” (Gewaltmonopol) და ახდენს ხალხისაგან ხალხის მართვას ლეგიტიმურ საფუძველზე. ეს დეფინიცია ეფუძნება სახელმწიფოს ვებერისეულ გაგებას.[2]*

[1] **ტრანსცენდენტური**- *L.* transcendens (transcendentis) რაც საზღვარს სცილდება, შესაძლოცდისფარგლებსგარეთარსებული, შემეცნებისათვისმიუღწეველი.

➢ *ხელოვნური ადამიანი, ადამიანი, შექმნილი საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.*[2] *სამართლებრივად სახელმწიფო განიხილება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელიც ფლობს კანონმდებლობით განსაზღვრულ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, რაც მიმართულია კონკრეტული მიზნების განხორციელებისაკენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ხელისუფლება არის საშუალება იმ მიზნების რეალიზაციისთვის, რა მიზნებიც ადამიანებმა სახელმწიფოს შექმნის საფუძველში ჩადეს.*/13]

ყოველივე აქედან დასკვნა: *სახელმწიფო არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც ადგენს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესებს და განსაკუთრებული აპარატის მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს კანონიერებას, საზოგადოებრივ წესრიგსა და მთლიანობას. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციაა.* ***ამ ხელისუფლებას საჯარო ეწოდება იმიტომ, რომ მოქმედებსხალხის სახელით.*** *იგი სახელმწიფო ხელისუფლებაა, რადგანაც ხორციელდება სახელმწიფოს განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით, საჭირო შემთხვევაში იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში,* ***ვრცელდება ამ სახელმწიფოს მოქალაქეებზე და მის ტერიტორიაზე მუდმივად თუ დროებით მყოფ ყველა სხვა ადამიანზე.*** *სახელმწიფო ხელისუფლება იქმნება და ხორციელდება სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და ფარგლებში. მხოლოდ საჯარო ხელისუფლებაა უფლებამოსილი, განახორციელოს სამართალშემოქმედება, დაადგინოს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესები, უზრუნველყოს მათი დაცვა და შესრულება, გამოიყენოს იძულებითი ხასიათის ღონისძიებები. და რაც მთავარია ყველა განმარტებაში მკაფიოდაა ხაზგასმული მისი და ადამიანის, მოქალაქის მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ.*

[2]სახელმწიფოს სოციალურ-ორგანიზაციული ფუნქცია მოცემული თვალსაზრისით ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ცნობილმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა თომას ჰობსმა წამოაყენა.

2012 წლის 1 ივნისის სტატისტიკური მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობამ შვიდ მილიარდს გადააჭარბა, რაც დღითიდღე, ყოველწამიერად იცვლება.[12] აღნიშნული ცვალებადობა უდიდეს გავლენას ახდეს თვითეული სახელმწიფოს განვითარებაზე, რადგან თვითეული მათგანი სახელმწიფოს უდიდესი რესურსია.

ადამიანთა ერთობლიობა ქმნის საზოგადოებას, ამდენად საზოგადოება და ადამიანი განუყოფელი ცნებებია, დიფერენცირდება მხოლოდ საზოგადოებები სფეროების მიხედვით. თვითეულიავსებს ერთმანეთს და მიმართულნი არიან საერთო დოვლათის მოსაპოვებლად, რომელსაც სახელმწიფო განვითარება ეწოდება. ამის ნათელი გამოხატულებაა მაგალითად, ჯონ დონის[3] ცნობილ გამონათქვამი , *„არც ერთი ადამიანი არ წარმოადგენს კუნძულს, თვით კუნძულიც არ არსებობს განცალკევებით. ყველა ადამიანი ნაწილია ერთი მთლიანი და მთავარი კონტინენტისა“*.[1] ასევე მაგალითად მილი ჯონ სტიუარტის[4]ცნობილი ფილოსოფოსისა დაინდივიდუალისტის მოსაზრება, რომ *„ერთად შეკრებილი ცალკეული ადამიანები არ გარდაიქმნებიან სხვა სახის სუბსტანციად“*[2]

განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ პრიმიტიულ ადამიანზე საზოგადოება მეტ ზეგავლენას ახდენს და იგი ნაკლებად ინდივიდუალურია, ვიდრე ცივილიზებული პიროვნება. ამაში უთუოდ არის ჭეშმარიტების მარცვალი. მცირე საზოგადოებები უფრო უნიფიცირებულნი არიან იმ გაგებით, რომ იქ ნაკლები შესაძლებლობა აქვს პიროვნებას გამოამჟღავნოს ინდივიდუალური მიდრეკილებები და უნარი, ვიდრე კომპლექსურ და განვითარებულ ქვეყნებში. ინდივიდუალიზმის განვითარება ამ გაგებით თანამედროვე მოწინავე საზოგადოების აუცილებელი შედეგია.

საბოლოო ჯამში საზოგადოება, იგივე ადამიანთა კავშირი არის ერთმანეთთან სხვადასხვა ურთიერთობით დაკავშირებულ ადამიანთა საზოგადოება. ასეთ საზოგადოებებს ახასიათებს სოციალური ურთიერთობები ინდივიდუალებს შორის, რომელთაც გამორჩეული კულტურა აერთიანებთ.

---

[3]**ჯონ დონი** John Donne (1572 - 1631) დიდი ინგლისელი პოეტი და ლონდონის წმინდა პავლეს ტაძრის წინამძღვარი.

[4]**ჯ.ს.მილი** – John Stuart Millინგლისელიფილოსოფოსიდაეკონომისტი (1865-1868)

სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმის განმარტება აუცილებლად შეიცავს საზოგადოების თანაგანმარტებას, რადგან საზოგადოების გარეშე სახელმწიფო ფიზიკურად ვერ იარსებებს. დედამიწის სამხრეთ პოლუსზე არის უდიდესი ყინულოვანი კონტინენტი ანტარქტიდა, რომელიც მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებების განხორციელების ადგილია, რადგან იქ ტარდება სხვადასხვა სახის კვლევები, მაგრამ არაა სახელმწიფო, რადგან ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფოს განმარტების ბევრ და მთავარ კომპონენტს – არ ჰყავს საზოგადოება.

ამრიგად ინდივიდების ურთიერთობა ქმნის საზოგადოებას, სოციუმს. ინფორმაცია, რომელიც ადამიანს მემკვიდრეობითი ნიშან-თვისების გზით გადაეცემა, ცირკულირებს საზოგადოებაში და წარმოქმნის ნოოსფეროს, რომელიც თავის თავში გულისხმობს ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების სფეროს, სადაც ადამიანის გონივრული მოქმედება წარმოადგენს განვითარების მთავარ, მამოძრავებელ ფაქტორს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პიერ ტე იარ დე შარდენმა[5] და ედუარდ ლერუამ[6], შემოიღეს ცნება **ნოოსფერო**, რომლებიც განსაზღვრავენ მას, როგორც დედამიწის „მოაზროვნე“ გარსს. ვლადიმერ ვერნადსკიმ[7] ტერმინ ნოოსფეროს ახალი მატერიალური შინაარსი მისცა: ნოოსფერო ბიოსფეროს ახალი უმაღლესი სტადიაა. ცნება ნოოსფერო ასევე გულისხმობს საზოგადოებასა და ბუნებას შორის გონივრულ ურთიერთგავლენის აუცილებლობას. ეს კი მოითხოვს წარმოების გონივრულ და ეფექტურ დაგეგმვას, ბუნების გარდაქმნის ამოცანის გლობალურ გადაჭრას.

საბოლოო ჯამში საზოგადოების ყველა მატერიალური და ინფორმაციული საქმიანობა წარმოქმნის კულტურას, რომელიც თვითეულ ინდივიდს მემკვიდრეობით გადაეცემა.

რაც შეეხება მოქალაქეობას, ეს უკვე განვითარებული და ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მონაპოვარია. მოქალაქეობის ენციკლოპედიური განმარტების რამოდენიმე სახე არსებობს. მოქალაქე კონსტიტუციური სამართლის მიხედვით არის პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე მიეკუთვნება განსაზღვრულ სახელმწიფოს. მოქალაქეს

---

5 **პიერ ტეიარ დე შარდენი –** XX საუკუნის ერთ–ერთი გამოჩენილი თეოლოგი

6. **ედუარდ ლერუა** - XIX საუკუნის ჟურნალისტი

7. **ვლადიმერ ივანეს ძე ვერნადსკი** – XIX-XX საუკუნეების ცნობილი ბუნებისმეტყველი და მოაზროვნე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

გააჩნია უფლებები, თავისუფლებები და აკისრია მოვალეობები. თავისი სამართლებრივი მდგომარეობით კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქე განსხვავდება ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირთაგან. კერძოდ, მხოლოდ მოქალაქეს აქვს პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

ვიწრო სამართლებრივი თვალსაზრისით მოქალაქე წარმოადგენს იმ სახელმწიფოს მაცხოვრებელს, სადაც კანონი იცავს ადამიანების მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს და სადაც ადამიანებს საკუთარი მოვალეობები აქვთ სახელმწიფოს წინაშე. ეს მოვალეობებია ქვეყნის კანონების დაცვა,ქვეყნის დაცვა მტრის თავდასხმის შემთხვევაში, ერთიან ხარჯებში წვლილის შეტანა. მოქალაქეობა განსხვავდება ეთნიკური იდენტურობისგან ანუ ეროვნებისგან.

მოქალაქეს, როგორც საზოგადოების წევრს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, გავლენა მოახდინოს, წვლილი შეიტანოს მის კეთილდღეობაში და მის განვითარებაში.

ამგვარად, მოქალაქე არის როგორც მოვალეობების და უფლებების „მიმღები“, ასევე „მონაწილე“, რომელიც მონაწილეობას ღებულობს იმ ჯგუფის ცხოვრებაში, რომლის ნაწილადაც თავს აღიქვამს.

მოქალაქეობის ერთ-ერთი ადრეული კონცეფცია უკავშირდება ძველი საბერძნეთის ქალაქ–სახელმწიფოებს, სადაც „მოქალაქეებად“ ითვლებოდნენ ის ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ სახელმწიფოს საქმეებში მონაწილეობის კანონიერი უფლება. თუმცა მოსახლეობის მხოლოდ მინიმალური პროცენტი ითვლებოდა მოქალაქეებად: მონებს და ქალებს უბრალო ნივთებად თვლიდნენ, ხოლო უცხოელები საერთოდ არ შედიოდნენ ამ სიაში. იმ თავისუფალი ადამიანებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ მოქალაქის პრივილეგირებული სტატუსი, „კარგი მოქალაქეობა“ ან „მოქალაქეობრივი ღირსება“ მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ამ ტრადიციამ იმ პასუხისმგებლობებს, რომლებსაც მოქალაქეობა აკისრებდა მოქალაქეებს. მოქალაქეობის ასოცირება ეროვნულ კუთვნილებასთან XIX საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც ევროპის მთელი მასშტაბით ჩნდებოდა ეროვნული სახელმწიფოები და როცა „მოქალაქის“ სამართლებრივი სტატუსი ხშირად უკავშირდებოდა ეროვნულ სახელმწიფოს, მაშინაც კი,

როცა აღნიშნულ ტერიტორიაზე რამდენიმე ეთნიკური წარმოშობის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ.

ამრიგად, სამაგისტრო **ნაშრომი აქტუალურია** მრავალი თვალსაზრისით. პირველ რიგში ის ეხება თანამედროვე თემატიკას და მეორე რიგში აერთიანებს ისეთმნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა სახელმწიფო და ადამიანი. თემას აქტუალუბას კიდევ უფრო სძენს ის გარემოება რომ ჩვენს მიერ გამიჯნულია ცალ–ცალკე ადამიანის, პიროვნებისა და მოქალაქის ცნებები და მათი მნიშვნელობები. თვითეული ცნება მისასადაგებულია სახელმწიფოსთან და გარკვეულია თუ რა როლი აქვთ მათ სახელმწიფოს, როგორც საჯარო სივრცის განვითარებაში.

საჯარო სივრცის ცნებაც თანამედროვეა და განეკუთვნება შესასწავლელ თემატიკას, ამდენად საინტერესოა რომელი უფრო მნიშვნელოვანია მისი განვითარებისათვის – ადამიანის პიროვნული თვისებები თუ მისი მოქალაქეობრივი უფლებები და ვალდებულებები, ასევე განხილულია მათი უარყოფითი ფაქტორები და ამის შედეგად გამოწვეული ზიანი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ერთი სუბიექტის სამ სხვადასხვა კონტექსტში განხილვა. ასევე ჩემი მიზანია წარმოვაჩინო ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების სრულყოფილების შესაძლებლობები სახელმწიფოში, ამაში იგულისხმება მისი პიროვნული ჩამოყალიბების კონცეფციები. რაც შეეხება მოქალაქეს ჩემი მიზანია განვიხილო მოქალაქეობრივი საკითხებისადმი მიდგომები, როგორც სახელმწიფოს კუთხით, ასევე ადამიანის, როგორც მოქალაქის როლი სახელმწიფოში. საბოლოო ჯამში თემის მიზანი არის სახელმწიფოს მთავარი სუბიექტის ადამიანის როლი და მნიშვნელობა მის მართვაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით. საქართველოს, როგორც ახალი დემოკრატიის მქონე ქვეყნისათვის საჯარო სივრცე და მასთან დაკავშირებული საკითხები თავისთავადად წარმოქმნის სიახლეს, რადგან ეს საკითხი ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია. რაც შეეხება ჩემი სამაგისტრო თემის მეცნიერულ

სიახლეს ის მდგომარეობს იმის განსაზღვრაში თუ რა როლი აქვს თვითეულ ინდივიდს და მთლიანად საზოგოებას მის განვითარებაში. როცა ვსაუბრობთ ადამიანზე, პიროვნებაზე თუ მოქალაქეზე აქ არ ვგულისხმობთ მხოლოდ საჯარო სივრცეში უშუალოდ მონაწილე ინდივიდებს, არამედ საუბარი გვაქვს ასევე მთლიანად საზოგადოებაზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ღებულობენ მონაწილეობას საჯარო მართვაში.

თემა I ადამიანი და მისი ურთიერთკავშირი სახელმწიფოსთან

დაბადების მომენტიდან მოყოლებული, გარესამყარო იწყებს ზემოქმედებას ჩვენზე და ბიოლოგიურიარსებიდან სოციალურ არსებად გარდაგვქმნის. ყოველი ადამიანი ისტორიის ან წინა-ისტორიის ნებისმიერ საფეხურზე საზოგადოებაში იბადება და ადრეული ასაკიდანვე ფორმირდება ამ საზოგადოების მიერ. ენა, რომელზედაც ის მეტყველებს, არ წარმოადგენს მის პირად საკუთრებას, არამედ მემკვიდრეობით ღებულობს იმ საზოგადოებისგან, რომელშიც იზრდება. ენაც და გარესამყაროც ეხმარება მას საკუთარი ნააზრევის უკეთ გაგებასა და ჩამოყალიბებაში. მისი პირველი იდეები სხვებისგან არის ნასესხები. სწორად შენიშნავენ, რომ საზოგადოებას მოწყვეტილი ადამიანი უენო და უთვისტომო იქნება.

რობინზონ კრუზოს, როგორც ნაწარმოების მიმზიდველობა სწორედ იმაშია, რომ ეს არის ცდა წარმოვიდგინოთ ადამიანი საზოგადოებისგან განცალკევებით. ამ ცდას პერსპექტივა არა აქვს. რობინზონ კრუზო არ არის აბსტრაქტული ადამიანი, ის გახლავთ ინგლისელი იორკიდან. ავტორმა მას სასწრაფოდ პარასკევა გამოუგზავნა და გვაჩვენა ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის აუცილებელია ადამიანთა ერთობლიობა. თანამედროვე სახელმწიფოების განვითარებაც სწორედ ასე იწყება გვაროვნულ, ტომობრივ და თემური პრინციპით ცხოვრებით და არა ინდივიდუალურად, განცალკევებით.

რაკიღა ადამიანი საზოგადოების უჯრედია, საზოგადოება როგორც ერთიანი სხეული ძლიერ ზეგავლენას ახდენს მასზე. გარდა ამისა სხვა ადამიანებთან ერთად თანაცხოვრება ინდივიდისაგან საერთო მიზნების გათვალისწინებას მითხოვს. აქედან გამომდინარე ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ არსებას ესაჭიროება გარკვეული წესების დაცვა, რომ

დაიცვას თავი სოციუმისაგან და ამავე დროს ანგარიში გაუწიოს მეორე ინდივიდს, რომელიც ასევე იმკვიდრებს თავს ამ საზოგადოებაში. აღნიშნული ურთიერთქმედებისას ჩნდება ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. საუკუნეების განმავლობაში მისი დაცვა სხვადასხვაგვარად ხდებოდა.

ორასი წლის წინ ამერიკელებმა თავისი სახელმწიფოს დაარსებისას დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულაში აღიარეს:

„ჩვენ გვესმის როგორც თავისთავადი ჭეშმარიტება, რომ ყველა ადამიანი არის თანასწორი და დაჯილდოებულია ღმერთის მიერ ხელშეუხებელი უფლებებით. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ხალხი აყალიბებს მთავრობას, რომლის კანონიერი ძალაუფლებაც გამომდინარეობს მართულთა თანხმობიდან. თუკი როდესმე ესა თუ ის მმართველობის ფორმა საშიში აღმოჩნდება ამ მიზნებისათვის, ხალხს უფლება აქვს დაამხოს ხელისუფლება და შექმნას ახალი, რომელიც საფუძვლად ისეთ პრინციპებს აიღებს და ისე მოახდენს საკუთარი ხელისუფლების ორგანიზებას, როგორსაც ხალხი მიიჩნევს უფრო ხელსაყრელად და სასარგებლოდ უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად“.[15]

ამერიკამ ეს თეორია ორასი წლის წინ აღიარა, მაგრამ ადამიანის უფლებების პირველწყაროები უძველეს ხანაში უნდა ვეძიოთ. ადამიანის უფლებები ცოდნის ის დარგია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მრავალ მეცნიერებასთან, პირველ რიგში კი - ეთიკასთან, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებთან. ცოდნის ეს დარგი თანამედროვე სახით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა, თუმცა მისი სათავეები მკაფიოდ შეინიშნება ანტიკურ და შუა საუკუნეებში,განსაკუთრებითკი განმანათლებლობის ეპოქაში.

1.2. ანტიკური რომის სამართალი ადამიანის უფლებების შესახებ

1945 წლიდანჩამოყალიბებას იწყებს ადამიანის უფლებათა გამოყენების ფარგლები, ხოლო ამჟამად მათი კონცეფცია განსაზღვრავს საერთაშორისო საზოგადოების

სტრუქტურას. მანამ სანამ ადამიანის უფლებები გახდებოდა საყოველთაოდ აღიარებული საზოგადოებები დიფერენცირებული იყო სოციალურ კლასებად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დარღვეული იყო კანონის წინაშე თანასწორობა და ამით დაბალი კლასისა და მონების უფლებები აბსოლუტურად იგნორირებული გახლდათ. რომის იმპერიამ მსოფლიო ცივილიზაციას საბაზისო საკანონმდებლო სივრცე უბოძა მემკვიდრეობად, მაგრამ ამ უდავოდ შეუდარებელ სამართლებრივ სისტემაში, რაც რომს გააჩნდა, მონები მოიაზრებოდა ყოვლად უუფლებო კლასად და მას „ISTRUMENUM VOCALES" ანუ მოლაპარაკე ინსტრუმენტს უწოდებდნენ.

რომში მიღებული კანონები და წესები აღმოჩნდა საწყისი ეტაპი და სამართლის განვითარებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი არსებობის ისტორიაში. ისტორიულად, ძველ რომში მოქალაქეობის ცნება უკავშირდება სამართლის წარმოშობას. რომის მოქალაქეობა ადამიანის თავისუფლების სინონიმად გამოიყენებოდა და სამოქალაქო უფლებები მხოლოდ მოქალაქეებს მიენიჭებოდათ.

რომის მოქალაქეები (status civitatis), ანუ ფიზიკური პირები არ იმყოფებოდნენ ერთნაირ მდგომარეობაში, მათი უფლებები სხვადასხვაგვარი იყო არა მარტო რომის სახელმწიფოს განვითრების ცალკეულ პერიოდში, არამედ ეს დამოკიდებული იყო იმაზეც, თუ ცალკეულ ინდივიდებს კონკრეტულ სიტუაციაში საზოგადოებრივ ფენაში რა ადგილი ეკავათ, ე.ი. ხდებოდა მათი დაყოფა სხვადასხვა ნიშნებიდან გამომდინარე.

რომის საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ - **პატრიციები** – ანუ რომის სრულუფლებიანი მოქალაქეები. ისინი, ვინც ეკუთვნოდა ერთ-ერთ რომაულ კეთილშობილურ გვარს და ამა თუ იმ კურიაში ირიცხებოდა.**კლიენტები** – არასრულუფლებიანი წარჩინებული ხალხი. კლიენტები დამოკიდებული იყვნენ სრულუფლებიან პატრიციებზე, ანუ ლათინურად - პატრონებზე. **პლებეები** – სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ხსვადასხვაობაა პლებეების როგორც წარმოშობის, ისე სოციალური მდგომარეობის შესახებ. პლებეები იყვნენ როგორც წვრილი, ისე მსხვილი მონათმფლობელები. რომში პატრიციებსა და პლებეებსშორის ბრძოლა თითქმის ორ საუკუნეს გაგრძელდა და დამთავრდა იმით, რომ პლებეები პატრიციებში გაითქვიფნენ და

ერთიანი მონათმფლობელთა კლასი შექმნეს. ყველაზე მდიდარი პატრიციების შერევა ყველაზე მდიდარ პლებეებთან, ქმნის რომის მმართველი კლასის ზედაფენას - ნობილიტეტს.

ნორმები, რომლებითაც ნაწილობრივ იზღუდებოდა მცხოვრებთა სხვადასხვა ფენა, იყო უფლება–უნარიანობა სამოქალაქო სფეროში, რომელიც ვრცელდებოდა ბავშვებზე, ქალებზე, ბარბაროსებზე. ქალები სქესის გამო, რომაულ სამართალში, არ იყვნენ მამაკაცთა თანასწორუფლებიანი, თუმცა უკვე კლასიკური პერიოდის რომში იურისტები ხაზს უსვამდნენ, რომ უსამართლო იყო ქალთა შესაძლებლობების ჯეროვნად შეუფასებლობა. ამ თვალსაზრისმა რამდენადმე გააუმჯობესა მათი მდგომარეობა კერძო სამართლის სფეროში, ისინი თითქმის გაუთანაბრდნენ მამაკაცებს, მაგრამ პოლიტიკურ სფეროში ქალთა და მამაკაცთა უფლებები არასდროს ყოფილა თანასწორი. ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ყოველგვარი უფლება ჰქონდათ ჩამორთმეული. პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ ოჯახის უფროსის ძალაუფლების ქვეშ, თუ ისინი იყვნენ სრულწლოვანი მამაკაცები, სარგებლობდნენ თავიანთი საზოგადოებრივი ფენის პოლიტიკური უფლებებით, მაგრამ არ ფლობდნენ პასიურ საარჩევნო უფლებას. თუმცა კლასიკურ პერიოდში, მათ ეს უფლებაც მიიღეს. პოსტკლასიკური პერიოდის სამართლამდე – ქრისტიანობის გამარჯვებამდე რელიგიური კუთვნილება არ იწვევდა სამოქალაქო უფლებების შეზღუდვას.

შეზღუდვები სხვადასხვა მოქალაქეების მიმართ ხორციელდებოდა სხვადასხვა მეთოდებით. სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის ერთ-ერთი გარემოება იყო, ეგრეთწოდებული, სავალო მონობა. სავალო მონები (nexi da addiecti) იყვნენ პირები, რომლებიც ნებაყოფლობით ან/და სასამართლოს გადაწყვეტილებით ითვლებოდნენ მოვალედ და იხდიდნენ ვალს. ამ პირებს ვალის გადახდამდე არ გააჩნდათ არც საჯარო-სამართლებრივი, არც კერძო-სამართლებრივი უფლებამოსილება.

რომში პირები მათი წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე დიფერენცირდებოდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებად

ამრიგად ანტიკური ეპოქის ყველაზე ცივილიზირებული იმპერიის – რომისსამართლის მიხედვით ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დაცულია, მაგრამ არათანაბრად, რადგან მიუხედავად ცივილური კანონებისა მაინც ეპოქალურად მონათმფლობელური ხანაა და თვით საზოგადოება დაყოფილია კლასებად. რომში ადამიანის უფლებების დაცვა ძალზედ რთულ საკითხს წარმოადგენდა. მოსახლეობის დაყოფა ხდებოდა გარკვეული მდგომარეობის მიხედვით. იმ დროისათვის თანასწორობის პრინციპზე საუბარიც კი ზედმეტია.

1.2. ძველი ქართული სამართლის წყაროები ადამიანის უფლებათა შესახებ

დღეს საქართველოში ისეთი ცნებები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება თუ დემოკრატია საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის მიჩნეულია შემოსულ და არა ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილად. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა სამწუხაროდ, მიიჩნევს რომ ეს ცნებები არ წარმოადგენს ეროვნულ ღირებულებას და უცხოა ქართული კულტურისათვის. ისინი გარედან (დასავლეთიდან) შემოტანილად მიიჩნევენ. არადა, ადამიანის უფლებები და ეროვნულიღირებულებებიერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული.საინტერესოა მოკლე მიმოხილვა გაკეთდეს იმ ქართული სამართლის ძეგლებზე, რომელიც იძლევიან ინფორმაციას ადამიანის უფლებების შესახებ.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებისმიერ ხალხს აქვს თვითგამორკვევისა და პოლიტიკური სტატუსის არჩევანის საშუალება. ეს ადამიანთა ერთ-ერთი უპირველესი უფლებაა და იგი ისტორიულ ჭრილში თანაბრად ეხება დღემდე არსებულ ყველა

სახელმწიფოს. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ ეს უფლება თავის დროზე ქართველთა შორეულ წინაპრებსაც გამოუყენებიათ.

ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე ქართლის ტერიტორია ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთმა სარდალმა აზომ დაიპყრო. მისი ტირანია თითქმის ორი ათეული წელი გაგრძელდა და დასრულდა ქართველთა საყოველთაო აჯანყებით, რომელსაც სათავეში დიდი ქართველო მეფე ფარნავაზი ედგა. ეს აჯანყება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქართლის მცხოვრებთა უფლებების დემონსტრირება უცხო ძალის წინაშე, რაც მიზნად ისახავდა ეროვნულ სახელმწიფოებრიობასა და თვითგამორკვევის მიღწევას. ე.ი. ქართველმა ხალხმა მოიპოვა სახელმწიფოს შექმნის უფლება.

საყოველთაო ფაქტია, რომ რაც უფრო მაღალია ხალხის მართლშეგნება, მით უფრო განვითარებულია მისი სამართლებრივი ინსტიტუტები და პირიქით, პრიმიტიული და განუვითარებელი სამართალი ყოველთვის დაბალი და ჩამორჩენილი უფლებრივი შეგნების ნაყოფი იყო.

ცნობილია, რომ ქართული სახელმწიფოსა და სამართლის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართული სამართლის ძეგლებში ასახულია შესაბამისი ეპოქის საზოგადოებაში არსებული წარმოდგენები ღირსებაზე, თავისუფლებაზე და თანასწორობაზე, რომლებიც ადამიანის უფლებების ქვაკუთხედია. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში სამართლის სფეროში, ისევე როგორც სახელმწიფოს მოწყობაში, ერთის მხრივ სახელმწიფო ხელისუფლება მოქმედებდა, მეორეს მხრივ კი ეკლესია, რომელიც სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა და განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მასზე.

ამის გამო სამართლის ძეგლებიც ორგვარი იყო - საერო და საეკლესიო. ამასთან ერთად, მეტად საინტერესოა ნათარგმნი სამართლის ძეგლებიც. ეს კანონები იმდენად გადამუშავებული სახითაა თარგმნილი, რომ ისინი შესაბამისი ძეგლების თავისებურ ქართულ ვერსიად შეიძლება ჩაითვალოს.

აქ, მოკლედ ჩამოვთვლით ქართული სამართლის იმ ძეგლებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ქართული სამართლის ისტორიაში და რომლებიც, ამასთან ერთად, ფრიად საინტერესოა საკვლევი საკითხისათვის.

ნათარგმნი საეკლესიო ძეგლები:

- ✓ „დიდი სჯულის კანონი“ - თარგმნა არსენ იყალთოელმა;
- ✓ „წესი და განგება და სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა“ - თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა.
- ✓ „კანონნი შეცოდებულთანი“ - თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა.

საკუთრივ ქართული საეკლესიო ძეგლები:

- ✓ რუისს-ურბნისის კრების ძეგლისწერა. 1103წ.
- ✓ 1263 წლის „საქართველოს საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება“ - ეძღვნებოდა დავითის ულუს მიერ საეკლესიო მამულების გასხვისებას.
- ✓ „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“ - XVI საუკუნის ძეგლია.1767-68 წწ. „განჩინება“ - შეადგინეს და დაამტკიცეს ანტონ კათალიკოსმა და ერეკლე მეფემ - საგულისხმო ცნობები მოიპოვება ქართულ-ხალხურ ზნე-ჩვეულებათა, წარმართობის ნაშთისა და სისხლის სამართლის ზოგიერთი დანაშაულის შესახებ, ისევე როგორც სასჯელთა შესახებაც.

საერო კანონმდებლობის ძეგლები მათ შორის: სახელმწიფო სამართლის ძეგლები

- ✓ „გარიგება ხელმწიფის კარისა“ - გიორგი ბრწყინვალის ეპოქა. ძეგლი საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილების, კულტურული და ეკონომიკური ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს შეიცავს.
- ✓ „წესი და განგებაი მეფეთა კურთხევისაი“ - ივანე ჯავახიშვილის აზრით, XV საუკუნეზე ადრე არ უნდა იყოს შედგენილი.
- ✓ „დასტურლამალი“ - ვახტანგ VI შეადგინა XVII საუკუნის დასაწყისში. დასტურლამალი ანუ დასტური მოქმედებისა ვახტანგ VI სიტყვებით წარმოადგენს „სჯულისდებასა სახელმწიფოთასა“, ანუ ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლია, მაგრამ შინაარსი გაცილებით ფართო და მრავალმხრივია. მასში არის ცნობები

მოსახლეობის აღწერის, შემოსავლის დავთრების შედგენის წესის, გადასახადების აკრეფის, გზების მოვლა-პატრონობის და ა.შ. შესახებ.

სისხლის და სამოქალაქო სამართლის ძეგლები

✓ „ძეგლის დადება“ გიორგი ბრწყინვალესი“ ქართული სამართლის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია, რომელიც შედარებით სრული სახით არის შემონახული და სისხლისა და სამოქალაქო სამართალს ეხება.

✓ „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი“ შეადგინეს სამცხე-ჯავახეთის ათაბაგმა ბექა I ჯაყელმა (დაახლოებით 1240-1306 წწ.) და სამცხის ათაბაგმა აღბუღა I ჯაყელმა (XIV საუკუნის I ნახევარი). ეს ძეგლი გვაწვდის მეტად საგულისხმო ცნობებს იმდროინდელი სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურ წყობაზე, სამართლებრივ მდგომარეობაზე, დანაშაულთა სახეებზე, საოჯახო სამართალზე და ა.შ.

✓ „ვახტანგის სამართლის წიგნი და კოდიკო“. კრებული შედგენილია XVIII საუკუნის დასაწყისში (1705-1708 წწ.). ბატონიშვილმა ვახტანგმა „იგულა და იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდაბნეულ იყო“.

კრებული შეიცავს საკუთრივ ქართული სამართლის ძეგლებს - „სამართალი მეფისა გიორგისა“, „სამართალი ბექასი და აღბუღასი“, „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“, „კანონიკური სამართალი“ და თავად ვახტანგ მეფის შედგენილ ძეგლს - „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. კრებული შეიცავს აგრეთვე საქრისტიანო მსოფლიოში მოქმედ სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს - მოსეს შჯულს, სირიულ-რომაულ, ბიზანტიურ და სომხურ კანონებს, რომელნიც საქართველოში კრებულის შედგენამდე დიდი ხნით ადრე მოქმედებდა.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მონობას განმარტავს, როგორც იმ ადამიანის ცხოვრების პირობებს, ან სტატუსს, რომელიც არ არის თავისუფალი სამუშაოს მიმცემის არჩევაში, რომელსაც ექცევიან როგორც საგანს, ან საკუთრებას და რომელიც შეიძლება გაიყიდოს ბაზარზე.

მონობის საწინააღმდეგო პირველი საერთაშორისო კონვენცია ერთა ლიგამ 1926 წელს ჟენევაში მიიღო. გაეროს მიერ 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლის მიხედვით აკრძალულია მონობის ყველა ფორმა: „არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში, ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია“. [1]

1956 წელს ჟენევაში 59 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს დამატებითი კონვენცია, რომლითაც გაუქმებულია მონობა, მონებით ვაჭრობა და ყველა ინსტიტუტი და ადათი, რომელიც მონობასთანაა დაკავშირებული.

სტრაბონის აღწერილობიდან ჩანს, რომ საქართველოში, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში მარტო მეფეს ჰყავდა მონები, ხოლო საზოგადოდ მონათმფლობელობაზე სტრაბონი თავის ნაშრომში არაფერს ამბობს. მონები იმ პერიოდში, აღმოსავლეთ საქართველოში მრავალრიცხოვანნი არ უნდა ყოფილიყვნენ. ამგვარად სოციალური უთანასწორობის მხოლოდ ჩანასახი ჩანს და იბერიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თანასწორუფლებიანი და თავისუფალი ყოფილა. სხვა სურათი გვაქვს V-VI საუკუნეების საქართველოში, როდესაც მონამხევლები საქართველოში არამარტო მეფესა და აზნაურებს ჰყოლიათ, არამედ უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლებსაც კი, მაგალითად ხელოსნებს.

იაკობ ხუცესის სიტყვებით მომაკვდავი შუშანიკის სანახავად 472 წელს სხვებთან ერთად მოსულან „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში აზნაური მხოლოდ წოდების აღმნიშვნელი ტერმინი კი არ არის, არამედ გვარის წარმომადგენელს, გვარის შვილს ნიშნავს და ამასთან დაკავშირებით „თავისუფალის“ მნიშვნელობაც ჰქონდა. თავისუფალი მხოლოდ ის იყო, ვინც რომელიმე გვარს ეკუთვნოდა. ის კი ვინც უაზნო ანუ უგვარო იყო, სხვა ქვეყნიდან იყო შემოხიზნული, ან ტყვედ წამოყვანილი და თავისუფალი არ ყოფილა. ქართული საისტორიო, ლიტერატურული და სამართლის ძეგლების შესწავლის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის - „სრული სიცხადით ირკვევა, რომ საქართველოში I-VII სს-ში მხოლოდ მონობა იყო, პატრონყმობა მაშინ არ არსებობდა. X ს-ის მეორე ნახევრითგან კი საქართველოში მარტო

პატრონყმობაღა იყო, მონობა, როგორც საზოგადო მოვლენა უკვე აღარ არსებობდა. VII-IX სს-ში მონობის ხსენება ქრება, მაგრამ პატრონყმობა ჯერ არ არის. მონობის ძირითადი ფორმის გაუქმება უნდა შეფასდეს, როგორც იმ დროისათვის პროგრესული მოვლენა. [9]

- **ადამიანის, როგორც პიროვნების ფაქტორი ძველ ქართულ სამართალში**

„ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“.[1] ეს უფლებათა უფლებაა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და ადამიანის არსებობისა და განვითარების საწინდარი მოვლენაა. ეს კი მაგალითია ვახტანგ ბატონიშვილის სამართლიდან, მუხლი 95:

„თუ კაცმა თავისი ყმა ან მოკლას, ან გაახეიბროს, თუ დანაშაულზედ უქნია, მით ბატონისაგან და კათალიკოზისაგან საწყენის არი, ამიტომ რომე უხელმწიფოს კაცს თავისის ყმის სიკუდილი და გახეიბრება არავის ხელეწიფების, რომელიც მაგვარი სასიკუდილო და გასახეიბრებელი დანაშაული ქონდეს, ხელმწიფეს მოახსენოს და მისის დასტურით უყოს“.[6]

მართალია, ეს მუხლი არ კრძალავს სიკვდილით დასჯას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბატონის მიერ საკუთარი ყმის თვითნებური დასჯის წინააღმდეგ არის მიმართული. ვერ დასჯის ის, ვისაც არ ხელეწიფების, ანუ კომპეტენტური არ არის. ხელმწიფე ხომ სრულუფლებიანი ხელისუფლების მქონებელს ეწოდება, ანუ, როგორც თავად სიტყვა მიგვანიშნებს, ისეთ პირს ნიშნავს, ვისაც „ხელი“, ე.ი. უფლება „მწიფე“, ანუ სრული აქვს.[3]

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მასალა მკაფიოდ გვაჩვენებს, რომ ადამიანის უფლებები არ იყო უცხო ქართული კულტურისათვის და რომ ქართულ ეროვნულ ღირებულებებსა და ადამიანის უფლებებს შორის უფსკრული არ არსებობს. ზოგიერთი ამ ღირებულებათაგანი საქართველოში უძველესი დროიდან ითვლებოდა წარუვალ ღირებულებად. ძველი ქართული სამართლის ძეგლებში საუბარია მხოლოდ ადამიანზე და არსად გვხვდება

მოქალაქისა ანდა პიროვნების ცნებები და მათი განმარტებები. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოება ფეოდალური წყობისაა და ჯერ მოქალაქეობა, როგორც სამართლებრივი ფორმა არ არსებობს. მაგრამ ადამიანი, როგორ ყველა ეპოქალური განვითარების საწყისი წყარო და მნიშვნელოვანი სუბიექტია ქართულ სამართალში.

რასაკვირველია კლასობრივი დიფერენციაციის გამო ყველანი კანონის წინაშე არ არიან თანასწორნი, მაგრამ საქართველო არ განეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს სადაც მონობა და მსგავსი დესპოტური რეჟიმები ადამიანების მიმართ ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნორმებადაა მიღებული.

ძველი ქართული სამართლის ძეგლები ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თეზისს გვთავაზობს ადამიანის როლი ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სეგმენტია და შესაბამისად ამ ადამიანის ღირსება და პატივი არ უნდა ექვემდებარებოდეს არანაირ ხელყოფას. ეს იქედან გამომდინარეობს, რომ საქართველო ძირძველი მართლმადიდებლური ქვეყანაა და რელიგიური სწავლებიდან გამომდინარე ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა, რომლის უგილებელყოფა და შეურაცხყოფაც დაუშვებელია. ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება თუ ამ ეპოქის სხვა ქვეყნების სამართლებრივ წყაროებს შევადარებთ (ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი და ა.შ)

1.3. ადამიანის ფენომენი ქართულ ცნობიერებაში

ადამიანებად ვიბადებით, პიროვნებად და მოქალაქედ ვყალიბდებით. გაცილებით ადვილია ქვეყანას მოევლინო ადამიანად, მაგრამ რთულია ჩამოყალიბდე ღირსეულ პიროვნებად და მოქალაქედ.ამ კითხვას „კაცია-ადამიანი“–ში მრავალმნიშვნელოვნად

სვამს ილია. კაცურ-კაცობის ფენომენი აქცევს ადამიანს, ბიოლოგიურ არსებას პიროვნებად და მოქალაქედ.

ადამიანი ამოუცნობი, მრავალხმრივი არსებაა, მას საკუთარი თავის შეცნობაც კი უჭირს როცა ვსაუბრობთ პიროვნებაზე მას ვუკავშირებთ სიტყვებს: მორალი, ზნეობა, სინდისი, პატიოსნება, ნებისყოფა, თავმდაბლობა, სამართლიანობა და სხვა. დადებით თვისებების, ამ პრინციპების წესად ქცევას დიდი პიროვნული სიძლიერე სჭირდება. მაგრამ ეს საფრთხე დიდია, საფრთხე შეცოდებისა, რადგან ზნეობრივი შეცოდების საფრთხე მხოლოდ ადამიანისთვის არსებობს, სხვა არსებები ბოროტებისა და სიკეთის წინააღმდეგობებისგან თავისუფალია, მხოლოდ გონიერი არსება შეიძლება ჩაითვალოს ბოროტად ან კეთილად. პირუტყვი კი მონაა თავისი ლტოლვისა და მისწრაფებისა.

გერონტი ქიქოძე თავის ნაშრომში „ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი“ წერს „უცნაური იქნებოდა სიქველე და სათნოება მოგვეთხოვა მშიერი მგლისთვის, რომელიც თავის წინაშე უპატრონო კრავს ხედავს, იმიტომ რომ ერთადერთი მოტივი, რომელიც ასეთ შემთხვევაში იმის მგლურ არსებაში მოქმედებს, უთუოდ შიმშილის მოკვლაა. ხოლო ერთადერთი მიზანი - კრავის შეჭმა. მორალური აღშფოთებაც უადგილო იქნებოდა აქ. რასაკვირველია, სადაც მოქმედებას წინ არჩევანი არ მიუძღვის იქ არ არსებობს შეგნება თავისუფლებისა და სადაც თავისუფლების შეგნება არ არის, იქ არ არის განსხვავებაც ბოროტებისა და სიკეთეს შორის.

ადამიანში კი პირიქით თითქმის ყოველთვის არსებობს შეგნება თავისუფლებისა ჯერ კიდევ შეუსრულებელი მოქმედების წინაშე, ეს შესაძლებლობაა მოტივთა არჩევისა.“

ავტორს ამ საკითხშიც და იმაშიც ვეთანხმები, რომ ადამიანი მშიერია თუ მაძღარი, კმაყოფილია თუ უკმაყოფილო ის თავისი თანაარსის წინაშე აუცილებლად სხვა მოტივებსაც განიცდის, მისი ნებისყოფა და გადაწყვეტილება კი მის გონიერებაზეა დამოკიდებული. ანუ ადამიანში თანაარსებობენ კეთილი და ბოროტი საწყისები და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული რომელს განავითარებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაეთვლება ადამიანს საპატიოდ, მისთვის შეუფასებელი საქციელი თუ ის მთვრალია ან სიგიჟითაა შეპყრობილი, ამ შემთხვევაში კი იგი ცხოველს უახლოვდება.

ადამიანის პიროვნების ძალა ბევრად მეტია ვიდრე რომელიმე თუნდაც უძლიერესი აფექტისა. ძლიერ ადამიანს ყოველთვის შეუძლია მართოს საკუთარი თავი. აკონტროლოს მისი თითოეული ნაბიჯი და ქმედება, განსაჯოს გონებით, ეს კი უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს ადამიანისგან, თუ მასში ძლიერი ვერ იქნება პიროვნების ფაქტორი, იგი იქცევა მონად საკუთარი სურვილებისა როგორც ეს ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ ონისეს დაემართა. მას არ აღმოაჩნდა საკმარისი პიროვნული ძალა, კერძოდ სუსტი აღმოჩნნდა თავისი ვნებების წინაშე და ამ გარემოებამ შეცდომა ჩაადენინა. სისუსტემ ძლია აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ პერსონაჟსაც, იქცა სურვილების მონად, ძალა არ ეყო გამკლავებოდა მათ და საშინელი ცოდვა ჩაადენინა, ამიტომაც ჭეშმარიტებაა გერონტი ქიქოძის სიტყვები: „ადამიანი ერთ განსაზღვრულ მომენტში შეეძლება ყოველ მხეცზე უმხეცესი აღმოჩნდეს“ ნებისყოფის სისუსტე გადააქცევს მას მხეცად, ხდება უბადრუკი, უნიჭო და სულიერად ღარიბი.

პიროვნული თავისუფლების შეგრძნება ღირსეული ცხოვრების აუცილებელი წინაპირობაა. მაგრამ ამგვარი თავისუფლების შეგრძნება არ წარმოიშობა უზრუნველი და უდარდელი ცხოვრებისაგან. თავისუფლება მძიმე ტვირთია. ადამიანები თავისუფლების მოსაპოვებლად ომობენ კიდეც და თუ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრება ომი ხანდახან ამ ტერიტორიისა და მოქალაქეების თავისუფლების მოსაპოვებლად ერთადერთი საშუალებაა. თავისუფლება ბედნიერებაა, პასუხისმგებლობაა, მსხვერპლის გაღებაა. მაგალითად გენიალურ ქართველ მწერალს ვაჟა ფშაველას თავისუფლებასა და თავისუფალ ადამიანზე საკუთარი შეხედულება ჰქონდა: „თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის.

მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო,

საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის.”[7]

ადამიანის, პიროვნების არსზეა საუბარი ნაშრომში „ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა“ საინეტერესო მოსაზრებებია გადმოცემული რაც დაგაფიქრებს პიროვნების ფენომენზე, დამაფიქრებელია მოსაზრება იმის შესახებ რომ ადამიანი ნაკლებად საინტერესოა, იმიტომ, რომ ის ჩვენთან ახლოსაა, ინტერესს კი ბადებს ის, რაც ჩვენგან შორსაა. შემიძლია ნაწილობრივ დავეთანხმო მოსაზრებას, რადგან როცა ადამიანს არ ვიცნობთ ჩემი აზრით, იგი გაცილებით უცხო და შორეულიაა ვიდრე რომელიმე ასტროლოგიური საგანი. ჩვენთვის უცნობი ადამიანის მიმართ გვიჩნდება ინტერესი, რაც შეეხება იმას თუ რამდენად ღრმად და კარგად გავიცნობთ მას ეს საკამათოა.[10]

საკუთარი თავის შეცნობაც კი უჭირთ ადამიანებს თუმცა პიროვნებად ჩამოყალიბების აუცილებელი პირობა უპირველესად საკუთარი თავის შეცნობაა. დავით გურამიშვილის მცნება „მოსწავლე უნდა სწავლობდეს საცნობად თავის თავადო, ვინ არის სიდან მოსულა სად არის წავა სადაო“. ადამიანმა მოზარდობის ასაკიდან უნდა გაითავისოს – სწავლა საკუთარი თავის შემეცნებაში უნდა გვეხმარებოდეს უნდა შეგვაძლებინოს ჩვენივე არსისა და დანიშნულების შემეცნება ყველა დროში წარსულში, აწყმოსა და მომავალში, თუმცა თავად ავტორიც აღიარებს რომ ადამიანი ყველაზე რთული არსებაა სამყაროში ამიტომაც შემეცნებისთვის ყველაზე ძნელი მისაწვდომია.

ავტორს ვეთანხმები იმ მოსაზრებაში, რომ ადამიანი მოთხოვნილებების მიხედვით იცვლება. ანუ ახალი მოთხოვნილებების გაჩენა ადამიანში ახალ თვისებებს აჩენს. უჩნდებათ სამყაროსთან ახალი მიმართებები, ერთი სიტყვით მოთხოვნილებების მონა ხდება. ისიც სინამდვილეა რომ ადამიანის მოთხოვნილებებზე ეპოქა დიდ გავლენას ახდენს, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახის მოთხოვნილებები უჩნდებათ მათ. მაგალითისთვის საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის, „ჯაყოს ხიზნები“ და „დიდი იოსები“. ჯაყო მოთხოვნილებების მონა ხდება, მის სიხარბეს საზღვარი არ ააქვს. ამ ეპოქის მდგომარეობით სარგებლობს და უფრო და უფრო იძირება უზნეობის მორევში. თეიმურაზს კი პირიქით ზნეობრივი მოთხოვნილებები უჩნდება, რაც იმ ეპოქას ნაკლებად ან საერთდ

არ ახასიათებს ისიც მოთხოვნილების მონა ხდება და იღუპება როგორც ეს ჯაყოს დაემართა. მარგოს ფუფუნების, უზრუნველი ცხოვრების მოთხოვნილება ტრაგიკულ შედეგამდე მიიყვანს, დიდი იოსები კი ეს ღირსეული პიროვნება ისე ემორჩილება და ემონება გამდიდრების სურვილს, რომ საბოლოოდ დეგრადირებული ადამიანის სახე რჩება. თანამედროვე ქართულ ეპოქაში კი ხალხს ყველაზე მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობის მოთხოვნილება აქვს.

მოცემულ მსჯელობაში ვეთანხმები იმ აზრს რომ ინტერესი ადამიანის ნიშანდობლივი თვისებაა და გულგრილობა უსულო სხეულად აქცევს მას, მეტსაც ვიტყვი, ინდიფერენტული[8], ნიჰილისტური[9] დამოკიდებულება დამღუპველია, რაც უდიდეს დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ადამიანს. ინტერესთა ინტერესი სწორედ ადამიანის განვითარებისა და პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ ერთი წინაპირობაა. აქ გავიხსენებ ერთი ბრძენი ადამიანის სიტყვებს „ადამიანები იცვლებიან, მხოლოდ ბრიყვნი რჩებიან უცვლელნი“,

ჩვენ ვსაუბრობდით ინტერესის როლზე ადამიანის ჩამოყალიბებაში. ადამიანები ცუდად ერკვევიან საკუთარ ინტერესებში, მისწრაფებებსა და მიდრეკილებებში. თვითშემეცნება კი რთულდება იმიტომ, რომ ადამიანი გარკვეულწილად მიდრეკილია საკუთარი თავის მოტყუებისკენ. ყოველთვის არ სურთ იცოდნენ სიმართლე საკუთარი თავის შესახებ, ზოგჯერ გაურბიან მას. ცდილობენ არსებობის გამართლებას, შემსუბუქებას, თავიანთი ყოფიერების საყრდენის გამოძებნას, ამიტომ ქმნიან და ეძლევიან ილუზიას საკუთარ თავზე. ცხადია ადამიანს ძალუძს გადალახოს თავის მოტყუების ეს მიდრეკილება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მიდრეკილება მუდამაა ადამიანში და მის პატიოსნებას მუდამ უხდება ამ ბარიერის გადალახვა. ადამიანი რაც უფრო მეტად გრძნობს არასრულფასოვნებას მით უფრო ყალბია.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია ერთის მხრივ, როგორც ავღნიშნეთ საკუთარი თავის შეცნობა და ამასთანავე მანკიერი მხარეების დათრგუნვა, რაც

---

[8] **ინდიფერენტული** – რაიმესადმიგულგრილი, უინტერესო, განურჩეველი.

[9] **ნიჰილისტური** – არაფერი". მე-19 ს. 60–იანი წლებში რუსეთში ინტელიგენციის წრეში გაჩენილი მიმართულება, რომელიც უარყოფითად ეკიდებოდა თავადაზნაურული საზოგადოების ტრადიციებს

განაპირობებს მისი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესების სწორად წარმართვას. ქართული ლიტერატურის ერთ–ერთ უბადლო პოემაში „გამზრდელი“ აკაკი თვალნათლივ გვიჩვენებს ამის მაგალითს. საფარ-ბეგი ფიქრობს – „ჩემი დანაშაული ბათუს არ გაუგია და ღალატის შესახებ არაფერი იცისო“, თავისთვად ეს ბნელი საქმის გაშუქებაა რაც კეთილ წამოწყებად მიიჩნია საფარმა და თავი დაიმშვიდა. ანუ თუ ვინმემ ადამიანის პიროვნული ნაკლოვანებები და დანაშაულებრივი ქმედებები ვერ გაიგო, დანაშაულებრივი ქმედების შეგრძნება შეიძლება გაქრეს ადამიანში.

სინდისი ყველაფრის მიუხედავად ყოველ ჩვენგანშია და მოითხოვს კეთილ, ობიექტურად გარდაუვალ საქციელს, თუ სინდისი არ მოტყუვდა არ დაბრმავდა ყალბი შუქით, მას ძალუძს ჩაშალოს ნებისმიერი დანაშაულებრივი საქმე. ამავე დროს ადამიანი ყოველთვის დამოკიდებულია გარემო პირობებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მის ჩამოყალიბებას.

ამრიგად ადამიანის თვისებებზე საუბრისას მთავარი საკითხი გახლავთ ის გარემოება, რომ ადამიანი დაბადებით განსაზღვრული გონიერი არსებაა და მხოლოდ გარკეულ ეტაპზე ხდება მის პიროვნებად ჩამოყალიბება. ძველი მსოფლიოს სამართლის წყაროებსა თუ თანამედროვე საერთაშორისო ნორმებში მკაფიოდ იკვეთება ადამიანის უფლება და თავისუფლება. ეს გარემოება განპირობებული იმით, რომ ყველა ადამიანის უფლებას იცავს კანონი: ახალშობილის, მოზარდის, მხრცოვანის, გონებრივად სუსტის, ფიზიკურად უძლურის, უნარ–შეზღუდულის, შრომისუუნაროს თუ შრომისუნარიანისა და გონებრივი შესაძლებლობების მქონეს. აღნიშნული კანონი საკითხს შემდეგნაირად უდგება – მიუხედავად იმისა არის თუ არა ადამიანი რესურსის მატარებელი და მიმცემი მისი უფლებები თანაბარია კანონთან სხვა რესურსის მქონე ადამიანებთან ერთად.

ამაშია სწორედ ადამიანის ფენომენის თავისებურება. შეიძლება ადამიანი დამნაშავეა და იხდის შესაბამის სასჯელს, კანონი მაინც იცავს მისი როგორც ადამიანის უფლებებს. სისხლის სამართალში არის ასეთი ცნება – უდანაშაულობის პრეზუმქცია[10]. ამ ცნების

[10]**პრეზუმფცია**– *L.* Praesumptio ვარაუდზ ედამყარებული მოსაზრება

თანახმად მანამ სანამ გამამტყუნებელი განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში დანაშაულის შესახებ მხოლოდ ვარაუდია. ეს კანონი უფლებას აძლებს პასუხისგებაში მიცემულ პირს იმართლოს თავი მართლმსაჯულების წინაშე ან გამოიყენოს დუმილის უფლება, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დამაძიმებელი გარემოება. აქედან გამომდინარე დანაშაულის კანონიერ ძალაში შესვლამდე ადამიანს სხვადასხვა ეტაპზე სხვადახვა ტერმინით მოიხსენიებს სისხლის სამართალი: გამოძიების ეტაპზე – ეჭვმიტანილი, ბრალდებული; სასამართლო განხილვის დროს – განსასჯელი და მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ – დამნაშავე და მსჯავრდებული.

შესაძლოა ადამიანი არ ქმნიდეს განსაკუთრებულ რესურსს სახელმწიფოში, მაგრამ ის სახელმწიფოს უმნიშველოვანესი სუბიექტია. მას იცავს კანონი როგორც ადამიანს, იცავს მისი სიცოცხლის უფლებას, ქონებრვი თუ პოლიტიკურ უფლებებს. რაც უფრო მყარადაა დაცული ქვეყანაში ეს უფლებები მით უფრო მაღალია ამ ქვეყნის განვითარების დონე. დაცული ადამიანების ერთობლიობა ქმნის განვითარებულ სოციუმს – სწორად ორიენტირებულ საზოგადოებას და ბოლოს რაც უფრო მეტადაა განვითარებული სახელმწიფო მით უფრო მნიშვნელოვანია მისი როლი მსოფლიო პოლიტიკურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ დინამიკაში.

თავი II ადამიანის როგორც სახელმწიფოს სუბიექტის არსი

ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა დედამიწაზე, რომელიც ცივილიზებულად ცხოვრობს, აზროვნებს და საუბრობს. ადამიანის როლი ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში უზომოდ დიდია. სახელმწიფოს განმარტებისას ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ადამიანი მისი მთავარი სუბიექტი და ღერძია, რომელის ირგვლივაც ბრუნავს ცივილიზაცია. როცა უფლებათა დაცვის საკითხები საკანონმდებლო სახეს ღებულობდა ჩამოყალიბდა ერთიანი აზრი იმის შესახებ, რომ ყოფილიყო გამოყენებული ტერმინი „ადამიანი“. ეს იმის აღიარებაა რომ კანონი იცავს ყველა მოაზროვნე, სულიერ არსებას დედამიწაზე.

ადამიანმა შესაძლოა განვლოს ცხოვრების გარკვეული პერიოდი, მაგრამ ვერ ჩამოყალიბდეს პიროვნებად და მისი ფუნქცია, როგორც საკუთარი თავის, სევე საზოგადოების წინაშე ნულის თანაფარდი იყოს, შესაძლოა ადამიანს არ გააჩნდეს არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა, მაგრამ ეს არ უნდა წარმოადგენდეს იმის საფუძველს რომ მისი უფლებები დაუცველი იყოს.

2.1. სივრცე ადამიანსა და სახელმწიფოს შორის

სიცოცხლე ადამიანისათვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მოცემულობაა. ყველა ადამიანი თანაბარი სტატუსით მოდის ამქვეყნად და ნებისმიერი სახელმწიფოს მიღწევას სწორედ ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა და თავისუფლება წარმოადგენს. სახელმწიფო კონსტიტუციური ჩარჩებიდან დაწყებული ნორმატიული აქტებით

დასრულებული უნდა ზრუნავდეს ადამიანის სიცოცხლის დაცვაზე და მისი ხელყოფის წინააღმდეგ. სიცოცხლე ხელშეუხებელი სტატუსია, ამდენად საქართველოს კონსტიტუციის მე–10 მუხლის 1 პუნქტით მკაფიოდაა განსაზღვრული: **„ადამიანის სიცოცხლე დაცულია, სიკვდილით დასჯა აკრძალულია**“. [16]

ამ მუხლით ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლე სახელმწიფოსათვის. თვითეული ადამიანი როგორც რესურსი, როგორც დემოგრაფიული მოვლენა დიდ როლს ასრულებს მის განვითარებაში. საკითხი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანი შეიძლება ამ ქვეყანას არაჯანმრთელი, ან შეზღუდული შესაძლებლობებით მოევლინოს, ან შემდგომ გარკვეული გარემოებების გამო გახდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ამ შემთხვევაშიც კი მისი სიცოცხლის უფლება თანაბრადაა დაცული ყოველგვარი ხელყოფისა და შევიწროვებისაგან და საქართველო მაქსიმალურად ცდილობს, შეძლებისდაგვარად მოახდინოს მისი ადაპტირება სოციუმში. ამისათვის შესაბამისი სტრუქტურები – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სოციალური დაცვის სააგენტო და ა.შ. ცდილობენ როგორც საკანონმდებლო ასევე საყოფაცხოვრებო სივრცის მაქსიმალურად მორგებას ასეთ ადამიანებზე.

ადამიანები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი არიან, მაგრამ კარგად განვიტარებული გონებრივი რესურსი აქვთ ჩართულნი არიან საჯარო თუ კერძო სამსახურებში. ჩვენი ქვეყნის მიღწევა სწორედ ის გარემოებაა, რომ მათი სტატუსი არ ქმნის ბარიერს საჯარო სივრცეში და ნებისმიერი შენობა–ნაგებობა მათთვის ადაპტირებულია (პანდუსები, ლიფტი შენობებში და ა.შ.)

„ყველა ადამიანის სამართლის წინაშე თანასწორია“.[19] რაც შეეხება თანასწორობას სამართლის წინაშე, რომელზეც კონსტიტუციის მე–11 მუხლშია საუბარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ვინც კი შეეცდება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად მიეცემა პასუხისგებაში. ამავე დროს მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პირი ეჭვმიტანილი, ან ბრალდებულია სხვა პირის სიცოცხლის ხელყოფაში, კანონი მისი სიცოცხლის ხელყოფას არ უშვებს – საქართველში სიკვდილით დასჯა აკრძალულია, ასევე გამოძიება მკაცრად ობიექტურ და სამართლებრივ ჩარჩოებში

მიმდინარეობს, რათა ერთის მხრივ არ იქნეს მიცემული პასუხიგებაში უდანაშაულო პირი, მეორეს მხრივ კი მნიშვნელოვანია დამნაშავეს სასჯელი კანონის სრული დაცვით შეეფარდოს.

სასჯელ–აღსრულებითი სისტემების სრულყოფა კი სახელმწიფოს ახალი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი სასჯელმისჯილია და შეზღუდული აქვს თავისუფლება ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ბიოლოგიური არსებობის შეზღუდვა რაიმე ფორმით დასაშვებია. აღნიშნული შეიძლება გამოიწვიოს უწესრიგობამ პენიდენციურ სისტემაში, სადაც უზრუნველყოფილი არაა ჯანსაღი გარემო, საკვები თუ სამედიცინო დახმარება. სახელმწიფოს მთავარი დანიშნულება ის კი არაა მხოლოდ პასუხი ვაგებნოთ დამნაშავეს, არამედ უნდა მოხდეს მისი რეაბილიტაცია, რათა სოციუმს ჯანსაღი პიროვნული თვისებებით დაუბრუნდეს. ამის მიღწევა რეალობაში ნამდვილად რთულია, მაგრამ სახელმწიფო ამოდის მთავარი პრინციპიდან – ადამიანის სიცოცხლე და მისი დაცვა.

ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლეს იცავს ყველა საჯარო სამსახური პირდაპირ თუ ირიბად, მაგალითად ჯანდაცვის სამინისტრო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც პირდაპირკავშირშია მის სიცოცხლისუნარიანობასთან, ზრუნავს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნით, მათი კონტროლით და საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობით.

ნაწილი სამინისტრებისა ზრუნავს ადამიანის სიცოცხლის დაცვას ეკონომიკური თუ ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებისათვის სხვადასხვა ღონიძიებების გატარებით, ასევე ქვეყანაში მზარდი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, რაც ადამიანის სიცოცხლისა და ნორმალური არსებობისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ყველა ადამიანს გააჩნია ღირსება, რომელიც მეტად შინაგანი და აბსტრაქტულია, განსაკუთრებით ისეთი კულტურის მქონე ერებისათვის, როგორიც საქართველოა. საკანონმდებლო ორგანომ კონსტიტუციაში აღნიშნული საკითხი ცალკე მუხლით გამოყო (მუხლი 9) და მისი უპირობო დაცვა იტვირთა. ღირსების დაცვა კონსტიტუციურად ნიშნავს, იმას, რომ აკრძალულია ადამიანის წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. ღირსებაშელახული ადამიანი საზოგადოების

ნეგატიური უჯრედია, იგი ფსიქოლოგიურად ცდილობს აზღვევინოს ღირსების შემლახველს და მისი ადაპტირება და რეალიზაცია სოციუმში მეტად მძიმე გარემოებებში ხდება.

ამდენად სახელმწიფოს ინტერეს წარმოადგენს ერთის მხრივ ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე ღირსების შელახვა დაგმოს, ხოლო მეორეს მხრივ ამით უზრუნველყოს ჯანსაღი სოციუმის ჩამოყალიბება.

ამრიგად, ადამიანი საწყისია არსებობისა, საწყისია ქვეყნის აღმშენებლობისა და სახელმწიფოებრივი განვითარებისა. ამ მოცემულობიდან გამომდინარე თვითეული ადამიანის პატივი, ღირსება და უფლებები ყველა ცივილურ სახელმწიფოში მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული.

საჯარო სივრცე ეს ის არეალია სადაც ადამიანებს პირდაპირ უხდებათ მონაწილეობის მიღება მართვასა და გამგეობაში, სადაც ყველაზე მეტადაა საჭირო ადამიანური რესურსის გამოყენება. ამდენად შესაბამისი განათლების მქონე ადამიანებით საჯარო სივრცის სწორად და დაკომპლექტება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას ადამიანის გონებრივი რესურსი მოვახმართ ქვეყნის წინსვლასა და განითარებას სხვადასხვა მიმართულებით.

თავი III პიროვნების როლი საზოგადოების განვითარებაში

ზემოთ განხილული საკითხიდან ჩანს თუ როგორი დამოკიდებულებაა ადამიანსა და სახელმწიფოს შორის. შესავალ ნაწილში ვისაუბრეთ ადამიანის, როგორც პიროვნების შესახებ და ჩამოვაყალიბეთ ერთი ძირითადი იდეა– პიროვნებად ყალიბდებიან. თუ როგორ პიროვნებად შეიძლება ჩამოყალიბდეს ადამიანი ეს დამოკიდებულია რომელინიმე შინაგან და გარეგან ფაქტორებზე. მნიშვნელოვანია თუ როგორ ოჯახში, საზოგადოებაში და ქვეყანაში იზრდება და ვითარდება ადამიანი, როგორია მისი შინაგანი სამყარო, როგორია ის სოციუმი, სადაც იზრდება და ყველაფერი ეს ხელს უწყობს მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებას. სახელმწიფოს კუთხით კი უმნიშვნელოვანესია პიროვნების ფაქტორი და როლი სახლემწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით.

საქართველოს კონსტიტუციის მე–12 მუხლი აცხადებს ადამიანის პიროვნული განვითარების თავისუფლებას სახელმწიფოში და თვითეულ ადამიანს ანიჭებს შესაძლებლობას ჩამოყალიბდეს პიროვნებად.[16]

ამ მუხლის შინაარსი მეტად ფართოა და მრავალ ქვესაკითხებს მოიცავს, ასევე მნიშვნელოვანია სიფრთხილეც, რადგან ამ თავისუფლებაში დადებითთან ერთად შესაძლებელია ნეგატიური მიმართულებაც განვითარდეს, თუმცა კონსტიუციის დანარჩენი

სხვა და ასევე სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო სივრცე მაქსიმალურად ზღუდავს მოვლენების ნეგატიურად განვითარების შესაძლებლობებს.

როცა პიროვნებაზე ვსაუბრობთ აუცილებელია საზოგადოებაში მისი ჩამოყალიბების ტენდენციების განხილვა. ადამიანი დამოუკიდებელი ფენომენია, მისი არსებობა დაბადებიდან იწყება და გარდაცვალებით სრულდება. სულ არა აქვს მნიშვნელობა როგორ სოციუმში უწევს ცხოვრება, მისი სტატუსი ყოველთვის ადამიანია, ანუ ადამიანის ფენომენი მისი სიცოცლის ციკლია.

პიროვნების საკითხი ასე არ არის ფორმულირებული. მისი ჩამოყალიბება რამოდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, ის დაბადებით არ იწყება და არც გარდაცვალებით სრულდება, მისი სახელი და პიროვნება თუ დიდი და მნიშვნელოვანია უკვდავია. პიროვნების განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის საზოგადოება ძირითადი და მნიშვნელოვანია.

3.1. პიროვნება და საზოგადოება

საზოგადოება და პიროვნება განუყოფელი ცნებებია. ისინი ავსებენ ერთმანეთს და არ წარმოადგენენ ერთმანეთში საპირისპირო მხარეებს.

ნებისმიერი საზოგადოება არის ადამიანთა სპეციფიკური ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთზემოქმედების ფორმებით. მისი მიზანია საკუთარი და ასევე საზოგადო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებია – *მდგრადობა, მთლიანობა, თვითგანვითარება და სოციალური ღირებულებები*, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნების ქცევას საზოგადოებაში.

საზოგადოებას ასევე ახასიათებს სოციალურ ინსტიტუტთა ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი და სხვა

ურთიერთობების რეგულირებას, რომლებიც საერთო ჯამში ემსახურება სახელმწიფოს განვითარებას.

ადამიანისათვის საზოგადოების ფენომენი ყოველთვის დიდი ინტერესის საგანი იყო, რადგან ადამიანი თავისი ცხოვრების წესით, ისტორიული გამოცდილებით არის საზოგადოებრივი არსება. ადამიანი ქმნის საზოგადოებას და საზოგადოება ხდის ადამიანს პიროვნებად. საზოგადოება არ არის ადამიანთა უბრალო ფიზიკური თავმოყრა გარკვეულ სივრცეში, არამედ საზოგადოება პიროვნებათა სპეციფიკური ერთობაა, საზოგადოებაში ადამიანებს შორის ყალიბდება სპეციფიკური პიროვნული ურთიერთობები. ეს ურთიერთობები განსხვავდება ადამიანებს შორის სისხლით ნათესაური კავშირისაგან. ყოველ ბავშვს იზრდება თუ არა ის ოჯახში, მას ოჯახის წევრებთან აქვს სისხლით ნათესაური კავშირი.

ბავშვი გაიზარდა, გადის საზოგადოებაში და ურთიერთობაში შედის სხვა ადამიანებთან, აქ ყალიბდება სოციალური ურთიერთობები. შემდეგ ადამიანი იწყებს საქმიანობას და შედის ეკონომიკურ ურთიერთობებში. ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრებით ჩართულია უამრავ ურთიერთობაში სხვა ადამიანებთან და ბოლოს თვითეულ საზოგადოებრივ სეგმენტთან უკვე პიროვნული თვისებებით ჯგუფდება.

პიროვნების ცნების განსაზღვრისას აუცილებელი წინაპირობაა განისაზღვროს ადამიანის სოციალური არსება, ვინაიდან პიროვნება მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს.

ადამიანურ სამყაროში ინდივიდს, ჩვეულებრივ, უწოდებენ ცალკეულ ადამიანს. საერთო თვისებებთან ერთად მას ახასიათებს ინდივიდუალური ნიშნებიც. ცალკეული ადამიანი არის ზოგიერთი განსაკუთრებული ინდივიდი და სწორედ ეს განსაკუთრებულობა აქცევს მას ინდივიდად. ინდივიდი საზოგადოების წინაშე წარსდგება, როგორც ფიზიკურ და სულიერ ძალთა ერთობლიობა, რაც ადამიანის სხეულში, მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს.

პიროვნების ცნება განუყრელად დაკავშირებულია „ადამიანის“ ცნებასთან, მაგრამ „პიროვნების“ ცნება დაკავშირებულია „ინდივიდუალობის“ ცნებასთანაც.

ინდივიდუალობა გამოხატულებას პოულობს ადამიანის ბუნებრივ მონაცემებსა და ფსიქიკურ თვისებებში - მეხსიერების, წარმოსახვის, ტემპერამენტის, ხასიათის თავისებურებებში და ადამიანის სახის მთელ მრავალფეროვნებასა და ცხოველმოქმედებაში. ინდივიდუალური ელფერი დაჰკრავს ცნობიერების მთელ შინაარსს: შეხედულებებს, მსჯელობებს, თვალსაზრისს, რომლებიც მაშინაც კი, როცა ისინი ერთნაირი აქვს სხვადასხვა ადამიანს, ყოველთვის შეიცავენ რაღაც თავისებურს.

პიროვნება არის ადამიანი არა მარტო ზოგადი თვისებებისა და ნიშნების თვალსაზრისით, არამედ მისი სოციალური, სულიერი და ფიზიკური თვისებების თავისებურებათა მიხედვითაც.

პიროვნების საყოველთაო ნიშანია სოციალური საქმიანობა, რამაც ადამიანი გამოყო დანარჩენი სამყაროსაგან. პიროვნების პრობლემის განხილვისას უმჯობესია გამოვიდეთ ეპოქის პირობებიდან, მოცემული საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციის სოციალური სტრუქტურიდან. **პიროვნება ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებების მქონე კონკრეტული ადამიანია, ისტორიულად განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია.**

საზოგადოებაში სოციალური ცვლილებების გამომწვევ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ „ისტორიული პიროვნების“ – ლიდერის მოღვაწეობა. იგი თავისი მოღვაწეობით, ზნეობრივი მაგალითით ცვლის საზოგადოების კულტურულ ნორმებს, იწვევს სოციალურ რეფორმებს, კლასობრივ ბრძოლებს, რევოლუციებს, განმათავისუფლებელ და დაპყრობით ომებს, ძლიერი სახელმწიფოების შექმნასა და აყვავებას.

კაცობრიობამ დღემდე შემოინახა იმ პიროვნებათა სახელები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ, რელიგიურ, მეცნიერულ, თუ კულტურულ აღმავლობაში. ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი ტომას კარლეილი[11] თავის წიგნში „გმირები და გმირობა ისტორიაში“ წერდა „... მსოფლიო ისტორია, იმის ისტორია, თუ რა მოიმოქმედა ადამიანმა ამ ქვეყანაზე, ჩემი გაგებით,

[11]**ტომას კარლეილი** - ბრიტანელი მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი

არსებითად არის ისტორია დიდი ადამიანებისა, რომლებიც აქ, დედამიწაზე იღვწოდნენ”... მათ საქმეებს კარლეილი განიხილავდა როგორც „მსოფლიო ისტორიის სულსა და გულს“[11]

ჰეგელის მიხედვით, მხოლოდ ისინი არიან დიდი, მსოფლიო-ისტორიული პიროვნებანი, რომელთა მიზნები და მოქმედება შეიცავს საყოველთაოსა და აუცილებელს. *„მათ გმირები უნდა ვუწოდოთ, რამდენადაც მათ მიზნებსა და მოწოდებას ასაზრდოებს არა მოვლენათა მყარი, მოწესრიგებული არსებული სისტემა, კურთხეული მსვლელობა საგნებისა, არამედ ისეთი წყარო, რომლის შინაარსიც დაფარულია და ვერ განვითარდება მონყოფიერებამდე; შინაგანი სული, რომელიც ჯერ კიდევ მიწის ქვეშ ბორგავს და გარესამყაროში ლამობს გამოსვლას, ნაჭუჭს ამტვრევს“...* [14]

ამერიკელი სოციოლოგი რ. შტრაუს-ხიეპე წიგნში „გულგრილობის ზონა“ წერს, რომ მასა არ აზროვნებს, ის უნდა დაემორჩილოს ძალაუფლებას და ძალაუფლების ხელმძღვანელობას, ანუ ლიდერის - გამორჩეული პიროვნების ძალაუფლებას. მეორე ამერიკელი სოციოლოგი ე. ჩინოისი ამტკიცებს, რომ „ყოველ საზოგადოებაში ხალხის ერთი ნაწილი უმაღლესი რანგისაა, მეორე - უმდაბლესისა... ერთნი ყველგან მართავენ, მეორენი მორჩილობენ, თუმცა უკანასკნელებს შეიძლება ერთგვარი შესაძლებლობაც კი ჰქონდეთ, რომ გავლენა მოახდინონ მთავრობაზე და კონტროლი გაუწიონ მის საქმიანობას. ეს კონტრასტები წარჩინებულთა და უჩინოთა, მდიდრებსა და ღარიბებს, ყოვლისშემძლეებსა და სუსტებს შორის შეადგენს სოციალური ულტრაფიკაციის არსებას“. [13]

საზოგადოების ასეთი დაყოფა დაბალ და მაღალ რანგებად, მმართველებად და მართულებად ჩინოისს მიაჩნდა სოციალური ყოფიერების მარადიულ კანონად.

იმის უარყოფა, რომ გამოჩენილი ადამიანი განსაზღვრულ გავლენას ახდენს იმ მოვლენებზე შეუძლებელია, რომლებსაც ის უდგას სათავეში. დიდი ადამიანები გამოხატავენ თავიანთი ეპოქის მოთხოვნილებებსა და ამოცანებს, ზოგჯერ - თავიანთი გონებრივი მონაცემებითა და ღვთისგან ბოძებული ნიჭით, უნარით რამდენიმე საუკუნითაც კი უსწრებენ თავიანთ ეპოქას. ეს იქნება პოლიტიკაში (საქართველოს მაგალითზე დავით

აღმაშენებელი, თამარ მეფე, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე II), თუ ხელოვნებაში. საკმარისია გავიხსენოთ მიქელანჯელო, ლეონარდო დავინჩი, ნიკო ფიროსმანი, მოცარტი, ბეთჰოვენი. მეცნიერებაში - ისააკ კოპერნიკი, ნიუტონი, ალბერტ აინშტაინი. კულტურაში - ფრედერიკო ფელინი, სტივენ სპილბერგი, ლიტერატურაში - შექსპირი, დანტე, სერვანტესი, რუსთაველი, ილია, აკაკი. რელიგიაში - საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ადამიანის პრობლემის მნიშვნელოვანი ასპექტია პიროვნებად ყოფნის საკითხი. **პიროვნებად ყოფნა ნიშნავს გონიერებას, არჩევანს, გადაწყვეტილებას, პასუხისმგებლობას.**ადამიანი რომ ჩამოყალიბდეს პიროვნებად უპირველესად უნდა იყოს მოაზროვნე არსება, მან უნდა დაისახოს მიზანი და ამასთანავე უნდა ჰქონდეს მიზნის განხორციელებისთვის საჭირო ასპარეზი. ამ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების არსებობის გარეშე შეუძლებელია ადამიანის პიროვნული თვითრეალიზაცია.

პიროვნება მუდამ განვითარებისა და ცოდნის გაფართოებისაკენ მიისწრაფვის ისარასოდეს არ არის „კმაყოფილი“ არსებულით. სწავლის პროცესი, ცოდნის გაღრმავება პიროვნებისაგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას. პიროვნება არის ის, ვინც განსაზღვრავს და სტიმულს აძლევს ამა თუ იმ აქტს. ცოდნის დაუფლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიდრეკილებებსა და ინტერესს, იმ სფეროს სიყვარულს, მასზე კონცენტრაციას, რასაც ემსახურება ადამიანი.

პიროვნული თვისებების გამოვლენა სხვებთან ურთიერთობაში ხდება. რასაც ის ქმნის ღირებულება სხვებთან ურთიერთობაში ენიჭება. ერთია ქმნიდე „მხოლოდ ჩემთვის“ და მეორეა - „კაცობრიობისათვის“, ამ უკანასკნელში კი „შენ“-ს გარდა „მე“-ც არსებობს. საკუთარი თავიდან გამოსვლა და სხვების მიზნად დასახვა „მე“-ობას კი არ აუქმებს, არამედ ადასტურებს. სწორედ ესაა პიროვნების ფუნქცია. **პიროვნება ქმნის საზოგადოებრივ ღირებულებებს.**

პიროვნება არის შეგნებული, მიზანდასახული, მიზანსწრაფული, რომელიც პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე. ცნობიერება არის ადამიანის სპეციფიკური მოქმედების საფუძველი. ასევე სინამდვილისადმი დამოკიდებულების სპეციფიკის

გამომხატველი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა იცის სინამდვილე და არა უბრალოდ მიმართებაშია მასთან. სპეციფიკურია ადამიანის ყოველდღიურობაში ცნობიერების გამოვლენის ფორმაც. ადამიანმა, როგორც მიზნის დამსახველმა არსებამ, იცის მიზანი და დაგეგმილი აქვს მისკენ მისასვლელი, მაგრამ როგორც კი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე წარმოიშვება დაბრკოლება, მაშინვე ვლინდება ცნობიერება.

რაც შეეხება ადამიანის მიერ საკუთარი თავის, საკუთარი არსებობისა და თავისებურებების ცოდნას ეს მნიშვნელოვანი პიროვნული თვისებაა. ამის საშუალებით ადამიანი ახდენს საკუთარი თავის გაიგივებას ვინმესთან. თვითეული ჩვენგანი საკუთარ თავს მიაკუთვნებს გარკვეულ ჯგუფს, საზოგადოებას, ერს ან კულტურას. შემდეგ კი ადამიანი ადგენს საკუთარ განუმეორებლობას. **ეს არის ადამიანის პიროვნულობის ბირთვი.**

რა ასპექტითაც არ უნდა შევაფასოთ პიროვნება, იგი არ არსებობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე, მისი უნარების გამოვლინებას აუცილებლად ესაჭიროება აუდიტორია – საზოგადოება, სოციალური გარემო, სადაც იგი მოახდენს თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც. მეორე მხრივ, მხოლოდ განვითარებული საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი გარემო აძლევს პიროვნებას იმის თავისუფლებას, რომ იყოს თავისი ცხოვრების აქტიური შემოქმედი, შეუფერხებლად გამოიყენოს ნიჭი და უნარი საზოგადოების ინტერესებისათვის. ადამიანები არ იბადებიან ერთნაირები. მათ გააჩნიათ სხვადასხვა ნიჭის ნასახი. იმისთვის, რომ ნასახიდან ნიჭი განვითარდეს, აუცილებელია მისი გავარჯიშება, სათანადო მიმართულებით მოქმედება. ნასახის მოცულობა არ ნიშნავს ნიჭის მოცულობას. ნასახის სახით ადამიანს მოცემული აქვს ნიჭის ჩამოყალიბების მხოლოდ შესაძლებლობა, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელია ამ ნასახის განვითარება და სათანადო მუშაობა ამ მიმართულებით.

საზოგადოების განვითარების ისტორიაში მრავლად არიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ზოგადსაკაცობრიო შედევრები მუსიკაში, მხატვრობაში, ლიტერატურაში, კულტურაში, პოლიტიკაში. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ადამიანები, რომლებიც

სხვადასხვა ქვეყნისა და ერის შვილები არიან, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით თავიანთი ერის გონითი სამყაროს ფორმირებაში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათი შემოქმედება მხოლოდ მათ სამშობლოს კი არა, მთელ მსოფლიოს ეკუთვნის, ანუ გლობალურია. მაგალითად, პოლიტიკაში - სოკრატე, პლატონი,ნიკოლო მაკიაველი, უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ დელანო რუზველტი, იოსებ სტალინი. ეს იმ გამოჩენილ ადამიანთა მცირედი ჩამონათვალია, რომლებმაც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს და შექმნეს ეპოქა. მათი გონი გასცდა მათი ქვეყნის ფარგლებს და შექმნეს არა მხოლოდ თავიანთი ქვეყნის ისტორია, არამედ შექმნეს მსოფლიო ისტორია და დღეს თანამედროვე ლიდერობის ფენომენის ფორმირებაში მათი ნიჭი, უნარები და გამოცდილება საუკეთესო მაგალითია.

ამრიგად, პიროვნება და მისი როლი სახელმწიფო მართვაში განუზომელია. სახელმწიფოს ვერ მართავს უბრალოდ ბიოლოგიური არსება. მართვის ფილოსოფია მეცნიერების ურთულეს დარგს განეკუთვნება, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე ქვედარგს; ისტორია, პოლიტიკა, მართვის ხელოვნება, ფსიქოლოგია, ლოგიკა და ა.შ. ამდენად სახელმწიფოს მართვა ერთეულთა ხვედრია და ეს ერთეული ბევრისაგან მეტად განსხვავებული უნდა იყოს პიროვნული თვისებების ნაერთით.

საჯარო სივრცე თანამედროვე გაგებით დემოკრატიის გამოვლინებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობა ირჩევს უმცირესობას და აძლევს მას ლეგიტიმურ მმართველობით უფლებას, მაგრამ ამავე დროს უმცირესობა ანგარიშვალდებულია უმრავლობასთან. საჯაროობის პრინციპი აკანონებს ღიაობის, საზოგადოების ერთად ყოფნისა და ერთად მმართველობის პრინციპებს. თუ საუკუნეების წინ მასამ სანამ საერთოდ არ იცოდა ხალხმა ვიზუალურად ვინ იყო მეფე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უპირობოდ შესასრულებელი იყო, ასეთ ვითარებაში ლიდერის პიროვნულ თვისებებზე საუბარი და შეფასება შესწევს მთელ საზოგადოებას. დღეს ამის შესახებ თამამად და ღიად ვსაუბრობთ, ამდენად მნიშვნელოვანია პიროვნების ფაქტორი სახელმწიფო მართვაში.

ლიდერი კი უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნული თვისებების ყველა მოთხოვნებს, **„ის უნდა იყოს ერთი ჩვენგანი და საუკეთესოჩვენს შორის“**

თავი IV მოქალაქეობის არსი და მნიშვნელობა სახელმწიფოში

მოქალაქეობა ადამიანის სამართლებრივი სტატუსია სახელმწიფოში. ეს სტატუსი წარმოშობს პირდაპირ ურთიერთდამოკიდებულებას სახელმწიფოსა და ადამიანს შორის, რომელიც განისაზღვრება მთელი რიგი უფლებებით, მოვალობებითა და პასუხისმგებლობებით.საქართველოს მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორი არიან, მათ გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. საქართველოს მოქალაქეები კი ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია, მისი ტერიტორიული მთლიანობა და იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგულნი.

საქართველოს მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს საქართველოს ტერიტორიაზე და მისი ფარგლების გარეთ იცავს საქართველო.

4.1. მოქალაქეობის მინიჭების წესი და პირობები

საქართველოს კონსტიტუციის 32–ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის საწყის საფუძვლებს.

- **საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა;**
- **საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით;**
- **მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია;**
- **საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია;**
- **საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია;**

საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის საკითხებს აწესრიგებს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“.[17] აღნიშნული კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს, ადგენს საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს

მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლებს. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით

საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს პირი:

- ✓ რომლის დაბადების მომენტისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა;
- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე სუროგაციის შედეგად დაბადებული პირი, თუ მისი არცერთი მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს;
- ✓ საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა;
- ✓ საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირი, რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მეორე მშობელი უცნობია.

ორგანულ კანონში მაქსიმალურადაა დაკონკრეტებული ყველა ის შესაძლო ვარიანტები საქართველში დაბადებული ბავშვისათვის მოქალაქეობის მინჭების შესახებ. ანუ მიუხედავად იმისა არიან თუ არა მშობლები საქართველოს მოქალაქეები საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ და მასზე საქართველო აცხადებს ზრუნვასა და მეურვეობას. აღნიშნული საკითხის მოგვარება მოითხოვს გარკვეული პროცედურების შესრულებას, რომელიც ასევე განსაზღვრულია კანონმდებლობით. მაგალითად, არასრულწლოვანი პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და რომლის ორივე მშობელი უცნობია, საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევა, ვიდრე საწინააღმდეგო არ დადგინდება. (მუხლი 12)

მოქალაქეობის მიღების მეორე ფორმაა ნატურალიზაცია. ნატურალიზაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით.

საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადებას დაინტერესებული პირი პირადად ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მეშვეობით წარუდგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო

სამართლის იურიდიულ პირს – **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს** ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვებისა და საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხებზე განცხადებას განიხილავს სააგენტოკომისიის დახმარებით.

ნატურალიზაციის სახეებია:

- ✓ საქართველოს მოქალაქეობის **ჩვეულებრივი წესით მინიჭება;**
- ✓ საქართველოს მოქალაქეობის **გამარტივებული წესით მინიჭება;**
- ✓ საქართველოს მოქალაქეობის **საგამონაკლისო წესით მინიჭება;**
- ✓ საქართველოს მოქალაქეობის **აღდგენის წესით მინიჭება.**

სრულწლოვან პირს საქართველოს მოქალაქეობა **ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ** იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 10 წლის განმავლობაში. აღნიშნული მუხლი ამოქმედდა 2018 წლის 21 ივლისიდან (ვნახო რა იყო ადრე)
- ✓ დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა.
- ✓ დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;

აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება ისეთ პირებზე რომელთაც აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის იმის შემოწმებას, აკმაყოფილებს თუ არა იგი აღნიშნული ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

- ✓ საქართველოში მუშაობს, ან/და საქართველოში აქვს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს. ეს პუნქტი არ ვრცელდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე

✓ ბოლო სამი ქვეპუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება მხარდაჭერის მიმღებისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭებაზე. საქართველოსსამოქალაქო კოდექსის მე–12 მუხლი განმარტავს მხარდაჭერის მიმღების ცნებას:

„ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი არის სრულწლოვანი – 18 წლის, ან იქორწინა 18 წლამდე (ითვლება ქმედუნარიანად), ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.[16]

მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება.“[18]

✓ რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო ენისა და საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის ფარგლები დგინდება სააგენტოს კომისიის დებულებით.

არასრულწლოვან პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა დაბადებით არ მოუპოვებია, საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ან თუ იგი საქართველოს მოქალაქემ შვილად აიყვანა.

საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ პირს, რომელიც კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ

განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობა **გამარტივებული წესით** მიენიჭება, თუ იგი ფლობს ქართულ ენას, იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირიტადი საფუძვლები.

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა **საგამონაკლისო წესით** შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და იგი ან მისი წინაპარი არისსაქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან ამ ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი, ის უნდა ფლობდეს ქართულ ენას, იცოდეს საქართველოს ისტორია და სამართლის ზოგადი საფუძვლები, ასევე სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირი.

თუ სხვა ქვეყნის მოქალაქე წარმატებულია სპორტის, მეცნიერების ან/და ხელოვნების სფეროში და მას სურს მოღვაწეობა საქართველოს სახელითგანაგრძოს, თუ საქართველოში ახორციელებს ისეთ ინვესტიციას ან მან საქართველოში განახორციელა ისეთი ინვესტიცია, რომლითაც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ან შეიტანა ამ შემთხვევასაც კანონი განიხილავს როგორც საგამონაკლისო წესს, ხოლო ინვესტიციის განხორციელების ფაქტის დადასტურების მიზნით საქმის განმხილველი ორგანო გამოითხოვს ინფორმაციას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსგან.

საქართველოს მოქალაქეობა **აღდგენის წესით მიენიჭება** პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა:

- ✓ არამართლზომიერად;
- ✓ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით;
- ✓ მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად.

პირს საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა და არ ეთქვა მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვებაზე უარი. [16]

პირი საქართველოს მოქალაქეობას ნატურალიზაციით ვერ მოიპოვებს, თუმას ჩადენილი აქვს საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ, თუ იგი მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადამიანის, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება. ამ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. თუ იგი იძებნება საქართველოს ან სხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ ან/და მის მიმართ მიმდინარეობს საექსტრადიციო ან გაძევების პროცედურა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაცპირის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან;სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან;ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან;ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ტრეფიკინგის ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან. [17]

4.2. მოქალაქის მოვალეობები

ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანის, მოქალაქის უფლებებზე ცალსახად საუბრობენ, რაც რასაკვირველია არასწორი მიდგომაა. უფლებებთან ერთად კონსტიტუცია ითვალისწინებს მტელ რიგ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს მომავალს. ამრიგად, უფლებების აღიარებასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუცია აწესებს რიგ მოვალეობებს, რომლებიც მოქალაქემ აუცილებლად უნდა შეასრულოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია იმ კონსტიტუციათა რიგში დგას, რომლებიც მინიმალურ შეზღუდვებსა და მოვალეობებს აწესებენ. ამ შეზღუდვებისა და მოვალეობების დაწესება კი ნაკარნახევია საზოგადოებისა და თვით მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე.

ვიდრე კონსტიტუციაში უშუალოდ ფორმულირებულ მოვალეობებს შევეხებოდეთ, უნდა გავიხსენოთ იმ ურთიერთკავშირის შესახებ, რომელიც არსებობს უფლებებსა და მოვალეობებს შორის. ამ კავშირიდან, რასაკვირველია, ზოგადად, კონსტიტუცია ითვალისწინებს ყველას მოვალეობას საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას, არ დაარღვიოს სხვისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ე.ი. კონსტიტუციური უფლებები და მოვალეობები ურთიერთშეფარდებული ცნებებია.[15]

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კონსტიტუცია, გარდა მოქალაქეებისა, ასევე ითვალისწინებს თვით სახელმწიფოსა და ხალხის მოვალეობებსაც, როცა საჭიროებიდან გამომდიანრე მათი უფლებების შეზღუდვის დასაშვებობაზე მიუთითებს, კერძოდ მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ „ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან“ საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია მოქალაქეთა უფლებების შესაძლო შეზღუდვასა და, აქედან გამომდინარე, შესაბამის მოვალეობებს აწესებს მაშინაც, თუ ამ უფლებათა განხორციელება „ლახავს სხვათა უფლებებს.“

საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეობის შესახებ, მე–4 მუხლის მე–3 პუნქტშიმითითებულია: ***„საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები, მისი ტერიტორიული მთლიანობა და იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგული.”***

აქედან გამომდინარე რამდენადაც მაღალია საზოგადოების პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურა, იმდენად მაღალია კონსტიტუციისა და კანონებისადმი პატივისცემა და დამორჩილება. ეს კი განაპირობებს საზოგადოებაში წესრიგის დამყარებას და უზრუნველყოფს საყოველთაო კეთილდღეობას.

მოქალაქობის ნატურალიზაციით მიღების შემთხვევაში, პირი ქართულ ენაზე დებს და ხელმოწერით ადასტურებს საქართველოს ერთგულების ფიცს: ***„მე, (სახელი, გვარი), ვხდები საქართველოს მოქალაქე და ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს, დავიცვა მისი კონსტიტუცია და ყველა სხვა კანონი, საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა; საქართველოს სახელმწიფო ენად ვაღიარებ ქართულს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურს; ვალდებულებას ვიღებ, პატივი ვცე საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს.“.***

გამდინარე აქედან, ცხადია, რომ ადამიანი, რომელსაც სურს საქართველოს მოქალაქეობაში შემოსვლა საკანონმდებლო დონეზე იღებს ვალდებულებას პატივი სცეს ქვეყნის კულტურასა და ღირებულებებს.

როცა მოქალაქეობის მოპოვება ხდება დაბადებით ამ შემთხვევაში მშობლების, ან მასთან გათანაბრებული პირების მორალური ვალდებულებაა ასწავლონ ადამიანს ქვეყნის სიყვარული და მის წინაშე მოქალაქეობრივი ვალის არსი.

მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქე პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს საკუთარი უფლებების და მოვალეობების შესრულებას.მოქალაქე პატივს უნდა სცემდეს და ანგარიშს უწევდეს სხვებისინტერესებს, სიფრთხილით ეპყრობოდეს საზოგადოებრივ სიკეთეებსა და ქონებას, ზრუნავდეს მათ გაუმჯობესებაზე. მაგალითად, დარგოს ხე ან დაასუფთაოს საერთო ტერიტორია, უარიუნდა თქვას გარემოსთვის მავნე ნივთიერებების ან საგნების გამოყენებაზე და ა.შ.ეს როლი ბუნებრივია ნებაყოფლობითია, თუმცა საზოგადოებებში,

რომელთა მოქალაქეებიც პირადი პასუხისმგებლობით არიან განმსჭვალულნი, ცხოვრებაგაცილებით სასიამოვნოა. აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება განიხილოს როგორც მხოლოდ საზოგადოებრივი საქმე, ამ საზოგადოებაში მოქალაქე თავად ცხოვრობს.

4.3. ადამიანის, პიროვნებისა და მოქალაქის პასუხისმგებლობა

- პასუხისმგებლობა და ადამიანი – ადამიანი თავისი ქმედებით იმ სასიცოცხლო გარემოზე, სადაც თავად ცხოვრობს, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს. ინდივიდუალური ქმედება ამავდროულად სოციალური ქმედებაცაა, რადგანაც იგი სხვა ადამიანებზე აისახება. ამ გაგებით ადამიანი პასუხისმგებელია თავის ქმედებებსა და მათ შედეგებზე. პასუხისმგებლობის ცნება ცენტრალური მნიშვნელობის მატარებელია და „მიეწერება“ მოქმედ ადამიანს, რამეთუ ის საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას პასუხი აგოს თავისი ქმედებებით გამოწვეულ შედეგებზე. არსებობს, ერთის მხრივ, სავარაუდო პასუსხისმგებლობა, სადაც მორალურ მხარეს კი არ ენიჭება უპირატესობა, არამედ ნორმატიულ მხარეს, რომლიც გულისხმობს იურიდიულ, პოლიტიკურ, პროფესიულ და სხვა ფორმალურ მოვალეობებს. შესაძლებელია მორალურად პასუხისმგებლობა დგას ადამიანის წინაშე, მაგრამ საკანონმდებლო სივრცე მსგავს უპასუხისმგებლობად არ მიიჩნევს და შესაბამისად ვერ აგებინებს პასუხს. არსებობს კიდევ რეტროსპექტიული პასუხისმგებლობა, რომელიც თითეულ ადამიანს თავისი ქმედებებისა და ქმედებათა შედეგებისთვის მისი ანგარიშვალდებულების კუთხით ეკისრება.
- პასუხისმგებლობა და პიროვნება – პირადი პასუხისმგებლობა, ეს არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის. გარდა ამისა, მოქმედი სუბიექტის პრინციპულ ავტონომიას გულისხმობს. უფრო მკაცრად რომ ვიმსჯელოთ, მხოლოდ ერთეულ ადამიანებს შეუძლიათ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

მხოლოდ მათ შესწევთ უნარი, რეალურად აგონ პასუხი საკუთარ ქმედებებზე. პიროვნება სწორედ ის ფენომენია რომელიც შეფასებებს უკეთებს თავის ქმედებებს და ამდენად რთულია პასუხისმგებლობის თავზე აღება, მით უფრო თუ ეს არ ჩაუდენია.

არსებობს ე.წ. ერთობლივიპასუხისმგებლობა, რომლის ყველა ფორმა დაიყვანება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე. მინიშნებები ერთობლივ პასუხისმგებლობაზე ძირითადად მხოლოდ შენიღბვისათვის გამოიყენება. ეს, მაგალითად კარგად ჩანს პოლიტიკური პასუხისმგებლობის შემთხვევაში, როცა პასუხისმგებლობის მატარებლები ბოლომდე არ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების გამო. ამიტომ ლიდერები აქცენტს ისეთ გადაწყვეტილებებზე აკეთებენ, რომელთა მიღებაც მოსახლეობასთან მაქსიმალური სიახლოვის შედეგად ხდება, რამეთუ სწორედ მოსახლეობას შეეხება უშუალოდ ამ გადაწყვეტილებათა შედეგები.

➢ პასუხისმგებლობა და მოქალაქეობა – ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობრი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე. ტრადიციულად ოჯახი, სახელმწიფო სწორედ ის ადგილია, სადაც ადამიანები ერთმანეთისათვის აგებენ პასუხს. მშობლები შვილებისათვის არიან პასუხისმგებელნი, ოჯახის სხვა წევრები - ერთმანეთისთვის და მთლიანად მოქალაქეები სახელმწიფოსათვის.სახელმწიფო თავის მხრივ ირებს პასუხისმგებლობას დაიცვას მოქალაქის ინტერესები, მძიმე სიტუაციებში დაეხმაროს მას, სიბერეში და ავადმყოფობის ჟამს იზრუნოს მათზე. ეს უპირველესად ეხება ისეთ ადამიანებს, რომლებსაც მიზეზთა გამო აღარ შეუძლიათ საკუთარ თავისათვის სრულად იყვნენ პასუხისმგებელნი. მთავარი აქ ნებაყოფლობის პრინციპია - ორივე მხრიდან. დაუშვებელია დავანგრიოთ ადამიანის პასუხისმგებლობა საკუთარი თავისათვის კეთილ განზრახვებზე დამყარებული მეურვეობით.

თანამედროვე საზოგადოებებში ადამიანები სხვადასხვა რისკის ქვეშ იმყოფებიან. ყოველ ადამიანს ეკისრება პასუხისმგებლობა, ამ რისკებიდან გამომდინარე საფრთხეებს სათანადოდ შეიარაღებული დაუხვდეს. როდესაც ცალკეული ადამიანი ამას ვერ ახერხებს, მას საზოგადოების იმედი უნდა ჰქონდეს. არსებობს რისკებისგან თავის დაცვის სხვადასხვა

მექანიზმი, როგორც, მაგალითად დაზღვევები. აქ პრინციპიალურად არ იგულისხმება სახელმწიფო ორგანიზაციების აუცილებლობა, საჭიროა მხოლოდ პიროვნებების პასუხისმგებლობით აღსავსე და წინდახედული მოქმედება, რომელიც საკუთარ თავზე და სხვებზე იქნება გათვლილი

დასკვნა

ადამიანებად ვიბადებით, პიროვნებად ვყალიბდებით, მოქალაქეები ვხვდებით

ამრიგად, ადამიანი, პიროვნება, მოქალაქე – ეს სამი დამოუკიდებელია ფენომენია, რომელიც სახელმწიფოს არსისა და არსებობის მთავარმამოძრავებელღერძს წარმოადგენს. ალოგიკური იქნება თუ საკითხის განხილვას მხოლოდ ერთი კუთხით მივუდგებით – მხოლოდ ადამიანის, მხოლოდ პიროვნების ან მხოლოდ მოქალაქის ჭრილში, რადგან სამივე ერთად აღებული ქმნის მოცემულობას, რომელიც საჯარო მმართველობით სისტემაში აუცილებელი და მნიშვნელოვანი სუბიექტია.

თანამედროვე სახელმწიფოს მართვა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნის, ისეთი მრავალსაუკუნვანი და მრავალფეროვანი მმართველობითი ტრადიციების მქონე ერისათვის როგორიც საქართველოა. სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა სახელმწიფოს განმარტების ერთი სისტემური ფორმა, რომელშიც ადამიანი, პიროვნება და მოქალაქე მისი მთავარი მოქმედი გმირია და მის ირგვლივ ტრიალებს ქვეყნის განვითარება და მომავალი.

სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციაა. **ამ ხელისუფლებას საჯარო ეწოდება იმიტომ, რომ მოქმედებს ხალხის სახელით.** იგი სახელმწიფო ხელისუფლებაა, რადგანაც ხორციელდება სახელმწიფოს განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით, საჭირო შემთხვევაში იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, **ვრცელდება ამ სახელმწიფოს მოქალაქეებზე და მის ტერიტორიაზე მუდმივად თუ დროებით მყოფ ყველა სხვა ადამიანზე.**

ადამიანი, რომელიც სწორად და სრულფასოვნად რეალიზირდება საზოგადოებაში ეს როგორც მისი სუბიექტური განვითარების, ასევე მთლიანად საზოგადოების სრულყოფილების გარანტი იქნება.

თანამედროვე სახელმწიფო არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც ადგენს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესებს და განსაკუთრებული აპარატის მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ

უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს კანონიერებას, საზოგადოებრივ წესრიგსა და მთლიანობას.

საჯარო მმართველობა უპირველესად დადგენილი წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმია და მისი მთავარი თვისება, საერთო გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების უნარია. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური სისტემა არა მხოლოდ მმართველობის მექანიზმებს და სახელმწიფო ინსტიტუტებს გულისხმობს, არამედ იმ სტრუქტურებს და პროცესებსაც, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ურთიერთობს საზოგადოებასთან. საზოგადოება კი შედგება იმ ინდივიდებისაგან რომელშიც გაერთაიანებულია ადამიანი - პიროვნება - მოქალაქე.

მმართველობა იძენს თავის საჯარო ხასიათს, განსაკუთრებით მაშინ, როცა პირდაპირ კავშირშია ინსტიტუციონალურ პროცესებთან, რომლებიც სახელმწიფოებრივ დონეზე, საზოგადოების წესრიგის დასაცავად და საერთო საქმიანობის ხელშესაწყობად მოქმედებს.

ამ კონტექსტში საჯარო მმართველობას სამი მთავარი ფუნქცია აკისრია:

- ✓ საკანონმდებლო (კანონშემოქმედება ან კანონთა შექმნა);
- ✓ აღმასრულებელი (არსებული კანონების აღსრულება);
- ✓ სასამართლო;

მმართველობის აღნიშნული ფუნქციები განსაზღვრავენ მის საჯარო ფენომენის არსსა და სტატუსს. საჯარო მმართველობა განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მმართველობის შინაარსს მის ხასიათს, დანიშნულებასა და ფორმას. საჯარო მმართველობის პროცესი მოიცავს მთელ საზოგადოებას და ზოგადად საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამდენად საჯარო მმართველობის პროცესი გამოირჩევა მთელი რიგი სპეციფიკურობით და თავისებურებებით, და ეს თავისთავად ხასიათდება გარკვეული სირთულეებით და წინააღმდეგობებით. საჯარო მმართველობის განსაკუთრებულობა მის თვითშემოქმედებით ხასიათშია.

საჯარო მმართველობის პროცესში ძირითადს საზოგადოების ევოლუციის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა წარმოადგენს, სოციალურ-პოლიტიკური

პროცესების ოპერატიული და ოპტიმალური წარმართვის მიზნით ტაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა და შემდგომში განხორციელება.

იმისათვის რათა საჯარო მმართველობა იყოს ეფექტური და საბოლოო ჯამში წარმატებული, მის დაგეგმარებაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – საზოგადოების მოთხოვნილებათა შესატყვისი მიმართულების შემუშავება, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმარება, საზოგადოების ტრადიციული განვითარების ჭრილში ისეთი ღონისძიებების განხორციელება რომელიც უპასუხებს თანამედროვე სტანდარტებს. საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კი მასში გაერთიანებული ინდივიდების შესაძლებლად მაქსიმალურ დაკმაყოფილებას გულისხმობს.

წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ (ფერაძე) თავის წიგნში „შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის“ („მამაო ჩვენოს“ განმარტება) ძალიან საინტერესო და განსხვავებული შინაარსის განმარტებას გვაძლევს ადამიანის ფუნქციისა და როლის შესახებ ქვეყანაში. ეს ისეთი შინაარსის ტექსტია, რომელიც მოიცავს როგორც ადამიანის, ასევე პიროვნებისა და მოქალაქის მნიშვნელობას სამშობლოში, რა უნდა იყოს ადამიანის ამქვეყნად არსებობის მთავარი მისია – ესაა ამ ტექსტის დანიშნულება და თუ წმ. მღვდელმოწამე გრიგოლის ამ მოწოდებას ერისადმი თვითეული ადამიანი გაისიგრძეგანებს, ეს იქნება როგორც საზოგადოების სულიერი ამაღლების ასევე გარანტი სამართლებრივი სახელმწიფოსი.

„ყოველ ადამიანს მომავალს ამ სოფლად მოაქვს როგორც საუნჯე უმთავრესად სამი რამ. პირველი ესაა მის წინაპრების მიერ მოპოებული, დაცული და მათი გმირულ შარავანდედით შემოსილი სამშობლო, ეს არის მეორე მასში ჩანერგილი პოტენცია, ამაღლება დღიურ ჭირ-ვარამიდან თვისი ცხოვრების უმაღლეს აზრისადმი დასამორჩილებლად და მესამე სინთეზი განცდათა, სამშობლოს გარშემო და სამშობლოსადმი სამსახურის გარშემო და ჩვენ ამას დავარქვით სახელად ენა – ამ უმთავრესად სამი დიდი საუნჯით დაჯილდოვებული მოდის ყოველი კაცი ამ ქვეყნად და მისი მოვალეობაა ამ ქვეყნად მოქალაქეობა.

მოქალაქე არ ნიშნავს პირველ რიგში ქალაქის მცხოვრებს, არამედ ყოველ შეგნებულ წევრს სამშობლოსი, გინდ იყოს ეს ქალაქელი, გინდ სოფლელი, გინდ მუშა. მოქალაქე არ ნიშნავს მას, ვისაც რაიმე კერძო საკუთრება აქვს თვის გარეშე. არამედ მას, ვინც გრძნობს უდიდეს საკუთრებას: ცხოვრებას, მის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას. ამისთანა კაცს ჰქვიან ქართულად მოქალაქე და მის ცხოვრებას ჰქვიან მოქალაქეობა.

*შინაარსი მოქალაქეობის არის ცხოვრება და ცხოვრება აწმყოში და იესო ქრისტე მიტომ მოვიდა ამ ქვეყნად, რომ ადამიანისთვის ეს ცხოვრება და ეს სარგებლობა აწმყოთი ესწავლებინა, ის ეთქვა ადამიანისთვის, რაც ორი სიტყვით გამოითქმება, რაც ჩვენმა წინაპრებმა ინტუიციით შეიგნეს და რაც დღეს ყოველ ქართველმა თვის შუბლზედ უნდა დაიწეროს, და ესაა: **„ვინც ამ ქვეყნის მოქალაქედ არ ვარგა (მოქალაქედ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი მე ვიხმარე), იგი არც იმ ქვეყნის მოქალაქედ გამოდგება“.*** [21]

ადამიანებად ვიბადებით - ეს მეტად მნიშვნელოვანი თეზისია, რადგან ადამიანის ამქვეყნად მოვლენით საფუძველი ეყრება სამყაროს მომავალსა და სწორედ აქედან იწყება ყველა სხვა დანარჩენ საკითხებზე საუბარი. სამართლებრივი განვითარება იმ დონეზე მივიდა, რომ სახელმწიფო ჯერ კიდევ არდაბადებული ადამიანის ინტერესებსაც იცავს. მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის თანახმად:

„მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ:

ა. კანონით მემკვიდრეობის დროს - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე **მამკვიდრებლის შვილები,რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან;**

ბ. ანდერძით მემკვიდრეობისას - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, **რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ,** მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.“[18]

ეს მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ნორმაა, რომელი იცავს ადამიანს და მის ქონებრივ უფლებებს შესაძლო ხელყოფისაგან.

ადამიანთა ერთობლიობა ქმნის საზოგადოებას, რომელიც ერთი მთლიანი ბირთვია და მასზეა დამოკიდებული გლობალური სახის პროგრამების განხორციელება საჯარო მართვაში.

საზოგადოება მრავალფეროვანი სეგმენტია, რადგან მასში გაერთიანებული ინდივიდები ნათესაური კავშირების მიუხედავად მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თვითეულ ადამიანს თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოებაში და იწყება პიროვნებად ჩამოყალიბების საინტერესო პროცესი.

პიროვნებად ვყალიბედებით - ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება კომპლექსური ხასიათისაა. გაცილებით ადვილია ქვეყანას მოევლინო ადამიანად, მაგრამ რთულია ჩამოყალიბდე ღირსეულ პიროვნებად. ინდივიდი საზოგადოების წინაშე წარსდგება, როგორც ფიზიკურ და სულიერ ძალთა ერთობლიობა, რაც ადამიანის სხეულში, მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს. პიროვნების ცნება განუყრელად დაკავშირებულია „ადამიანის“ ცნებასთან, მაგრამ „პიროვნების“ ცნება დაკავშირებულია „ინდივიდუალობის“ ცნებასთანაც.

პიროვნების საყოველთაო ნიშანია სოციალური საქმიანობა, რამაც ადამიანი გამოყო დანარჩენი სამყაროსაგან.პიროვნება ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებების მქონე კონკრეტული ადამიანია, ისტორიულად განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია.პიროვნებად ყოფნა ნიშნავს გონიერებას, არჩევანს, გადაწყვეტილებას, პასუხისმგებლობას. პიროვნება ქმნის საზოგადოებრივ ღირებულებებს.

საჯარო მმართველობა თავის თავში აერთიანებს სახელმწიფოს მართვას საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით. პიროვნების ფაქტორი აქ მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანი, რაც უფრო ჩამოყალიბებული იქნება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებად, მით უფრო სწორ არჩევანს გააკეთებს არჩევნების დროს, მით უფრო ობიექტურად შეაფასებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და მაქსიმალურად იქნება ჩართული საჯარო მართვაში. მართვაში ჩართულობა არ

გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკაში ჩართულობას. პიროვნება თავისი საქმიანობით პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია სახელმწიფო მართვაში. მაგალითად პედაგოგი ზრუნავს მომავალი თაობის სწორად აღზრდაზე, ეს თაობა კი წარმატებული ქვეყნის საწინდარია, იურისტები ზრუნავენ აღასრულონ ქვეყანაში კანონიერება და ეს სამართლებრივი სახელმწიფოს მართვისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და ა.შ. ამდენად პიროვნების ფაქტორი საჯარო სივრცეში მეტად მნიშვნელოვანია. ადამიანი, რომელიც ვერ ყალიბდება პიროვნებად, ან ყალიბდება ცუდ პიროვნებად, ის საზოგადოებისათვის სუსტი უჯრედია, მაგრამ როგორც ადამიანი სახელმწიფოსათვის თანაბარმნიშვნელოვანია პიროვნებასთან.

მოქალაქეები ვხდებით - მოქალაქეობა ცალსახად სამართველრივ სივრცეში დომინირებს. მოქალაქეობა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანზე ზრუნვის ერთ-ერთი სამართლებრივი ბერკეტია, რადგან მოქალაქეობის გარეშე ადამიანს, პიროვნებას არა აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საჯარო მართვაში. მოქალაქეობა სამართლებრივი სტატუსია ადამიანისა სახელმწიფოში. საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლებებს შორის გამოყოფს პოლიტიკურ უფლებებს - არჩევნებში მონაწილეობა, პოლიტიკურ გაერთიანებებში მონაწილეობა და ა.შ., რომლებიც მოქალაქის სტატუსის გარეშე დაუშვევებელია.

სახელმწიფო ხელისუფლება იქმნება და ხორციელდება სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და მის ფარგლებში. მხოლოდ საჯარო ხელისუფლებაა უფლებამოსილი, განახორციელოს სამართალშემოქმედება, დაადგინოს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესები, უზრუნველყოს მათი დაცვა და შესრულება, გამოიყენოს იძულებითი ხასიათის ღონისძიებები და რაც მთავარია ყველა განმარტებაში მკაფიოდაა ხაზგასმული მისი და ადამიანის, პიროვნებისა და მოქალაქის მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ.

ამრიგად, ადამიანის, პიროვნებისა და მოქალაქის ცალ-ცალკე დახასიათებამ შესაძლებელი გახადა მათი ერთ ინდივიდში გაერთიანებით წარმოდგენა შეგვექმნა საჯარო სივრცეში მის როლისა და ფუნქციის შესახებ.

სახელმწიფო, როგორც უდიდესი სისტემა, სამივე ფენომენის დაცვასა და უსაფრთხოებას ემსახურება. ადამიანი დაცულია სახელმწიფოში, როგორც საკანონამდებლო, ასევ მორალურ–რელიგიური ნორმების საფუძველზე. ადამიანი, რომ პიროვნებად ჩამოყალიბდეს ამისათვის სახელმწიფო ახორციელებს მთელ რიგ სოციალურ, კულტურულ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომელშიც ხელისუფლების სამივე შტო – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო,აქტიურადაა ჩაბმული. მოქალაქეობის შესახებ საკანონმდებლო სივრცე პირდაპირ და იმპერატიულად განმარტავს ყველაიმ ხერხსა და საშუალებებს, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს მოქალაქეობაში შემოსვლისა თუ გასვლის პროცედურების დროს.

ამრიგად, ერთი სუბიექტის მნიშვნელობა სახელმწიფო–საჯარო მმართველობით სივრცეში განუზომელია და ეფუძნება როგორც კონკრეტულ, დაწერილ და დაკანონებულ, ასევე რელიგიურ, მორალურ და ტრადიციულ ნორმებს.

ბიბლიოგრაფია:

1. „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლები“ გვ. 8. თბილისი, 2000

2. აფრასიძე დ. „ბიუროკრატიულ-პატრიმონიალური სახელმწიფო საქართველოში: ახალი შანსები,,ვარდების რევოლუციის შემდეგ“ ახალი აზრი, № 7 (13),– ნოემბერი; თბ. 2003 წ;

3. გივი ლობჟანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გვ. 406, თბილისი, 2001

4. დარჩიაშვილი დ. „პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობათა ანალიზი; გამომცემლობა „უნივერსიტეტი“ თბ. 2000წ;

5. დურმიშიძე ნ. ტორონჯაძე ი. „მსოფლიო პოლიტიკის ცივილიზაციური ასპექტების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა, გამოცემულია ფრიგრიხე ბერტის ფონდის მიერ

6. დოლიძის ი. „ქართული სამართლის ძეგლები” გამოცემა, ტ. 1, გვ. 505, თბილისი

7. ვაჟა-ფშაველას აფორიზმები და გამონათქვამები, შემდგენელი მ.მთვარელიძე. თბილისი, 1988

8. თოფჩიშვილი რ. „სამართლის ევოლუცია და ადამიანის უფლებები” ალმანახი №9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბ.1999 წ.

9. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 176, თბილისი 1982.

10. კაკაბაძე ზ. ‘რჩეული ფილოსოფიური შრომები’ ბათუმი © „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2012

11. კარლეილი ტ. „გმირები და გმირული ისტორიები“ 1841 წ;

12. მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა ვებ.გვერდი; www.worldometers.info/world-population (ნანახია 25,05,2019)

13. ჟურნალი „ინტელექტუალი“ №6, - © საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია. თბ. 2008 წ. ISSN 1512-2530

14. ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“ №17 © ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის ,,კულტურათაშორისი ურთიერთობების საზოგადოების" ასოციაცია, თბ. 2012 წ

15. რუხაძეზ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ © საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბ.1999 წ.

16. საქართველოს კონსტიტუცია 2017 წლის რედაქციით; www.matsne.ge

17. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ www.matsne.ge

18. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი www.matsne.ge

19. ტერმინთა განმარტებანი: გვ. 79-82. - ბიბლიოგრ.: გვ. 83-84. - ISBN: 978-9941-404-98-6

20. ფილოსოფიის ისტორია ტ.I შეადგინა ივან მარტინიმ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის და კულტურის ინსტიტუტი თბ., 2008 წ;

21. წმ. მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე) „შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის“ („მამაო ჩვენოს“ განმარტება) გამომცემლობა „ლუთერასი“

22. წაქაძე ირ. „ადამიანის ღირსების დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები” ალმანახი №18, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბ. 2003 წ.

უცხოური ლიტერატურა:

1. Devions upon Emergent Occasions, No XVII
2. J.S. Mill, A System of Logic, VII,1.